დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრები:

1. კახაბერ ფარცვანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. მაია ფხაკაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
4. მაია აბდელანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ქალაქ ბათუმის N 26 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლებრივი იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248385974

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	კახაბერის ქუჩა N1
საფოსტო ინდექსი	6000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Admin School Web Portal
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Batumi26@mes.gov.ge.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577270208

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 25 0000629170, 05/06/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 02 და 03 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხური	ქართული	ქ. ბათუმი კახაბერის ქ N 1 შენობა ნაგებობა 1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური	ქართული	ქ. ბათუმი კახაბერის ქ N 1 შენობა ნაგებობა 1
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხური	ქართული	ქ. ბათუმი კახაბერის ქ N 1 შენობა ნაგებობა 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 05 ივნისის MES 7 25 0000629170 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი. წევრები: კახაბერ ფარცვანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); მაია ფხაკაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); მაია აბდელანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი); ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი) დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ - ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლაში (ს/კ: 248385974) (შემდგომში - დაწესებულება).

ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 02-03 ივლისს. ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით ქ. ბატუმში. ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Teams) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, მასწავლებლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1230	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლ პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს	*სკოლამ უზრუნველყოს ქიმიის ლაბორატორიაში ამწოვი კარადის დამონტაჟება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 01 აგვისტომდე*

	მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	• იმისათვის, რომ ხედვა გახდეს უფრო მიზანმიმართული და პროგრესის მონიტორინგისთვის ეფექტურად გამოსაყენებელი, სასურველია, მასში განისაზღვროს ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც სკოლა მიზნად ისახავს შესაბამისი შედეგების მიღწევას. დროითი ჩარჩოს დამატება ხელს შეუწყობს მიზნების შესრულების ეტაპობრივი შეფასებისა და პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილების შესაძლებლობას, რაც გააუმჯობესებს როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების პროცესს.
ინდიკატორი N 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს	• სასურველია, მომდევნო სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში უკეთ განისაზღვროს ამოცანებისა და აქტივობების შინაარსობრივი განსხვავება. ამოცანა უნდა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის ერთ-

	(ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	ერთ ეტაპს ან შუალედურ შედეგს, ხოლო აქტივობა – ამ ამოცანის პრაქტიკულად შესასრულებელ მოქმედებას. აღნიშნული განვრცობა გააძლიერებს დოკუმენტის ლოგიკურ სტრუქტურას და ხელს შეუწყობს განხორციელებული საქმიანობების შედეგიან მონიტორინგსა და შეფასებას.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.1.1.2.	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას	• სასურველია შეიქმნას სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების ცალკე დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა პოზიციის ფუნქციები, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული დოკუმენტი: გააუმჯობესებს შიდა კომუნიკაციასა და მართვის გამჭვირვალობას; შეამცირებს ფუნქციურ დუბლირებასა და პასუხისმგებლობათა აღრევის რისკს; ხელს შეუწყობს რესურსების მიზნობრივ განაწილებასა და შიდა პროცესების სისტემატიზაციას.
ინდიკატორის N 3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	სასურველია, სკოლამ პრევენციული მიზნებისთვის განსაზღვროს პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და შეიმუშავოს მონიტორინგის და გაკვეთილებზე დასწრების გეგმა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სკოლის პერსონალის და მასწავლებელთა პრაქტიკის სისტემურ ანალიზსა და მიზნობრივი მხარდაჭერის დაგეგმვას.
ინდიკატორი N 3.2.1.3	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	სასურველია, რომ ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცესთან დაკავშირებული თითოეული ეტაპი იყოს დოკუმენტურად ასახული შესაბამის ფორმებში ან ანგარიშებში (მაგალითად, მენტორის შეფასება, უკუკავშირი ადაპტაციის პერიოდიდან და სხვა). აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს ადაპტაციის პროცესის მონიტორინგს, ეფექტიან ანალიზს და

		მომავალში სისტემური გაუმჯობესების დაგეგმვას.
ინდიკატორის N 3.3.2.1	**სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**	სასურველია სკოლამ განავითაროს უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების ფორმალური სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას, ეფექტურად გაითვალისწინოს მშობელთა მოსაზრებები, საჭიროებები და ინიციატივები, რაც დადებითად აისახება სკოლის მართვის პროცესების გამჭვირვალობასა და საზოგადოების ჩართულობაზე.
ინდიკატორის N 3.4.1.3	**სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**	სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს მრჩეველთა საბჭოს მუშაობის შედეგების დეტალური დოკუმენტირება, რათა პროცესები გახდეს მეტად გამჭვირვალე და მონიტორინგისთვის ხელმისაწვდომი. ასევე, სასურველია მოსწავლეთა ინფორმირებულობის დაფიქსირება დოკუმენტურად — მაგალითად, ხელმოწერით ან ელექტრონული აღრიცხვით, რაც გაამყარებს პროცედურების ფორმალურ საფუძველს.
ინდიკატორის N 3.4.1.5	**სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**	სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს როგორც ყოველდღიური და პერიოდული დასუფთავების წესებს, ასევე მონიტორინგისა და პასუხისმგებლობათა განაწილების მკაფიო სტრუქტურას. დოკუმენტის არსებობა გააუმჯობესებს პროცესების სტანდარტიზაციას, უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობს ჰიგიენური სტანდარტების დაცვას სასკოლო სივრცეში.
ინდიკატორის N 3.4.1.8	**სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს**	სასურველია, სკოლაში შეიქმნას უსაფრთხოების შეფასების მეთოდოლოგია და დაინერგოს უსაფრთხოების ინციდენტების რეგისტრაციის და ანალიზის ჟურნალი, რაც დაეხმარება სკოლას პრევენციული ღონისძიებების სწორად დაგეგმვაში. ეს ქმედებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც პროცესის

	აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	გამჭვირვალობას, ისე უსაფრთხოების მექანიზმების ანგარიშვალდებულებას.
ინდიკატორის N 3.6.1.2.	**ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ**	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ციფრული რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების წესი, რომელიც დაარეგულირებს ტექნოლოგიებზე წვდომის და გამოყენების პროცესს.
ინდიკატორის N 3.6.3.3.	**საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**	სასურველია, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების პრაქტიკა დოკუმენტურად აღირიცხოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს როგორც მიღებული ინფორმაციის ანალიზის, ასევე მასზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა. მნიშვნელოვანია ასევე განისაზღვროს, როგორ გამოიყენება ეს ინფორმაცია სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს იმ მექანიზმების გამოკვეთას, რომლითაც სკოლა რეაგირებს საზოგადოებისგან მიღებულ მოსაზრებებზე.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** ბუნებისმეტყველებაში, სავალდებილო თემების დამუშავებისას სასურველია გამოიყენებოდეს ყველა სამიზნე ცნება იმ

		დატვირთვით, რაც თემის შინაარსობრივი თავისებურების შესაბამისი იქნება. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** **საგან „ჩვენი საქართველოს“** მე-5 კლასის კურიკულუმში შედარებისთვის მოყვანილია გურიისა და ფშავ-ხევსურეთის მაგალითი, რომელიც მოსწავლეებს თემატურად არ გაუვლიათ, სასურველია კურიკულუმების შედგენისას მეტად იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ტრადიციების შესწავლა. **საგან „ჩვენი საქართველოს“ მე-5** კლასის კურიკულუმში სასურველია შეტანილი იყოს ყველა შესასწავლი თემა: მათ შორის პირველ ნაწილში- „ქართლი“ და „იმერეთი“ **საგან „ჩვენი საქართველოს“** მე-5 კლასის კურიკულუმში შედარებისთვის მოყვანილია გურიისა და ფშავ-ხევსურეთის მაგალითი, რომელიც მოსწავლეებს თემატურად არ გაუვლიათ, სასურველია კურიკულუმების შედგენისას მეტად იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ტრადიციების შესწავლა. **უცხოური ენები** დაწყებით საფეხურზე, სასურველია, ორივე უცხოურ ენაში შემუშავებული კურიკულუმები ერთი ფორმატით იყოს წამოდგენილი
ინდიკატორი N 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**მათემატიკა** მე-6 კლასის კურიკულუმებში სასურველია, შუალედური შედეგის შესამოწმებელი კომპლექსური ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები გაიწეროს კონკრეტულად
ინდიკატორი N 2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო**	**უცხოური ენები**

	რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია მეორე უცხოურ ენაში-რუსული, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მოხდეს დამატებითი დამხმარე რესურსების აქტიურად გამოყენებაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და გამტკიცებას.
ინდიკატორი N 2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**უცხოური ენები** სასურველია, რომ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმონ უფრო მეტად მრავაფეროვანი დიფერენცირებული აქტივობების გამოყენება. მაგ., აირჩიე პროექტი, სასწავლო მენიუ და ა.შ. რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. დიფერენცირებული მიდგომის დროს სასურველია, კონკრეტული აქტივობების დავალებებში, გავითვალისწინოთ ყველა ტიპის მსწავლელისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ინტერესები.
ინდიკატორი N 2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს. **უცხოური ენები** დაგეგმvის პროცესში სასურველია, ბარათების შემუშავება, სადაც ჩაშლილია: თემა, სამიზნე ცნება/ცნებები, ინდიკატორებეი, შეფასება და მიზანი.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**უცხოური ენები** სასურველია მეორე უცხოურ ენაში - რუსულშიც აქტიურად იყოს გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსები, წიგნების ან ელექტრო ვერსიების სახით. **მათემატიკა** სასურველია დამხმარე რესურსები ასახონ მე-6 კლასის საგნობრივ კურიკულუმში

2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია მასწავლებლებმა თავიდანვე შეავსონ ინტერნეტ რესურსების ველი, მოახდინონ მისი მოდიფიცირება სასწავლო წლის განმავლობაში. ასევე, სასურველია, კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები წინასწარ შემოწმდეს თუ რამდენად არის ხელმისაწვდომი, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის შესაბამისი. **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებასა და გამოყენებაზე (მაგალითად: სამუშაო ფურცლები, პრეზენტაციები, ვიდეოები და სხვა), რაც მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნებს და გაუმჯობესებს სასწავლო პროცესს. **სახელმწიფო ენა** სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ შეიმუშაოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსის საგნობრივ და ეთიკურ მიზანშეწონილობასა და ასაკისათვის შესაბამისობას.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** ბუნებისმეტყველებაში, სავალდებილო თემების დამუშავებისას სასურველია გამოიყენებოდეს ყველა სამიზნე ცნება იმ დატვირთვით, რაც თემის შინაარსობრივი თავისებურების შესაბამისი იქნება.

		საზოგადოებრივი მეცნიერებები **საგან „ჩვენი საქართველოს“** საგან ისტორიაში (VII, VIII, IX, Xკლასები) სასურველია კათედრამ შეუმუშავოს კურიკულუმის ერთი საერთო ფორმა, ეს ხელს შეუწყობს მათ შორის ეფექტურ კომუნიკაციას. **უცხოური ენები** • საბაზო საფეხურზე სასურველია, ორივე უცხოურ ენაში შემუშავებული კურიკულუმები ერთი ფორმატით იყოს წამოდგენილი
ინდიკატორი N 2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**უცხოური ენები** • სასურველია მეორე უცხოურ ენაში-რუსული, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მოხდეს დამატებითი დამხმარე რესურსების აქტიურად გამოყენებაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და გამტკიცებას.
ინდიკატორი N 2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**უცხოური ენები** • სასურველია, რომ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმონ უფრო მეტად მრავაფეროვანი დიფერენცირებული აქტივობების გამოყენება. მაგ., აირჩიე პროექტი, სასწავლო მენიუ და ა.შ. რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. • დიფერენცირებული მიდგომის დროს სასურველია, კონკრეტული აქტივობების დავალებებში, გავითვალისწინოთ ყველა ტიპის მსწავლელისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ინტერესები.
ინდიკატორი N 2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** • სასურველია კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს. **უცხოური ენები** • დაგეგმის პროცესში სასურველია, ბარათების შემუშავება, სადაც ჩაშლილია: თემა, სამიზნე ცნება/ცნებები, ინდიკატორებეი, შეფასება და მიზანი.

		•
ინდიკატორი N 2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** • სასურველია მასწავლებლებმა თავიდანვე შეავსონ ინტერნეტ რესურსების ველი, მოახდინონ მისი მოდიფიცირება სასწავლო წლის განმავლობაში. ასევე, სასურველია, კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები წინასწარ შემოწმდეს თუ რამდენად არის ხელმისაწვდომი, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის შესაბამისი. **ესთეტიკური აღზრდა** • სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებასა და გამოყენებაზე (მაგალითად: სამუშაო ფურცლები, პრეზენტაციები, ვიდეოები და სხვა), რაც მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნებს და გაუმჯობესებს სასწავლო პროცესს. **სახელმწიფო ენა** • სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ შეიმუშაოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსის საგნობრივ და ეთიკურ მიზანშეწონილობასა და ასაკისათვის შესაბამისობას.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** • ფიზიკაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში, სავალდებილო თემების დამუშავებისას სასურველია გამოიყენებოდეს ყველა

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სამიზნე ცნება იმ დატვირთვით, რაც თემის შინაარსობრივი თავისებურების შესაბამისი იქნება. **უცხოური ენები** • საბაზო საფეხურზე, სასურველია, ორივე უცხოურ ენაში შემუშავებული კურიკულუმები ერთი ფორმატით იყოს წამოდგენილი **საზოგადოებრივი მეცნიერებები** • სასურველია **მე-12 კლასში ისტორიაში და საქართველოს ისტორიაში** წარმოდგენილი იყოს კურიკულუმები, თუმცა ამ ეტაპზე სახელმძრვანელო შემუშავებული არ არის და მასწავლებელმა ძველ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით სასწავლო გეგმაში ჩამოწერა შესასწავლი საკითხები თანმხლები რესურსებით.
ინდიკატორი N 2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**უცხოური ენები** • სასურველია მეორე უცხოურ ენაში-რუსული, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მოხდეს დამატებითი დამხმარე რესურსების აქტიურად გამოყენებაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და გამტკიცებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სამოქალაქო განათლება • სასურველია მე-11 და მე-12 კლასებში წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროექტებში გამოკვეთილი იყოს მათი განხორციელების ღონისძიებები (ვადები, რესურსები, აქტივობები) სკოლის მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო რესურსებში. საგან სამოქალაქო განათლებაში, მე-12 კლასში სასურველია მიუთითოთ დამხმარე სასწავლო რესურსის დასახელება და შესაბამისი ელექტრონული ბმული.

ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**უცხოური ენები** • სასურველია, რომ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმონ უფრო მეტად მრავაფეროვანი დიფერენცირებული აქტივობების გამოყენება. მაგ., აირჩიე პროექტი, სასწავლო მენიუ და ა.შ. რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. • დიფერენცირებული მიდგომის დროს სასურველია, კონკრეტული აქტივობების დავალებებში, გავითვალისწინოთ ყველა ტიპის მსწავლელისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ინტერესები.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **გეოგრაფია:** • სასურველია მასწავლებელმა შეიმუშაოს ინდივიდუალურად თავის მოსწავლეებზე და საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი **უცხოური ენები** • განმსაზღვრელი შეფასებისთვის, სასურველია შეიქმნას თემის ფარგლებში გასავლელი დავალებების, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და ინდიკატორებზე ორიენრირებული კონკრეტული კრიტერიუმები.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** • სასურველია კურიკულუმები ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს. • გეოგრაფიაში საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სასურველია ზოგიერთი შუალედური მიზნის მოდიფიცირება და დაკონკრეტება თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. **უცხოური ენები**

		• დაგეგმის პროცესში სასურველია, ბარათების შემუშავება, სადაც ჩაშლილია: თემა, სამიზნე ცნება/ცნებები, ინდიკატორებეი, შეფასება და მიზანი.
ინდიკატორი N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** • სასურველია მეტი დამატებითი რესურსები იქნას შერჩეული ამა თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობებისთვის, რაც გაზრდის მოსწავლეთა ცნობიერების სფეროს და გაზრდის ასევე მათ მოტივაციას. **უცხოური ენები** • სასურველია მეორე უცხოურ ენა რუსულშიც აქტიურად იყოს გამოყენებული მეტი დამხმარე სასწავლო რესურსი, წიგნების ან ელექტრო ვესიების სახით.
ინდიკატორი N2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** • სასურველია მასწავლებლებმა თავიდანვე შეავსონ ინტერნეტ რესურსების ველი, მოახდინონ მისი მოდიფიცირება სასწავლო წლის განმავლობაში. ასევე, სასურველია, კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები წინასწარ შემოწმდეს თუ რამდენად არის ხელმისაწვდომი, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის შესაბამისი. **ესთეტიკური აღზრდა** • სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებასა და გამოყენებაზე (მაგალითად: სამუშაო ფურცლები, პრეზენტაციები, ვიდეოები და სხვა), რაც მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნებს და გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. **სახელმწიფო ენა** • სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ შეიმუშაოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს

		დამხმარე სასწავლო რესურსის საგნობრივ და ეთიკურ მიზანშეწონილობასა და ასაკისათვის შესაბამისობას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც შეეხებოდა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მითითებულ ხარვეზებს.

დასკვნის პროექტის ფარგლებში, სკოლის შესაბამისობა III სტანდარტთან მიმართებით თავდაპირველად შეფასდა როგორც **„არ შეესაბამება"**, კერძოდ: **კომპონენტი 3.4 — ინდიკატორი 3.4.1.1** შეფასდა როგორც „არ შეესაბამება", რამდენადაც ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე დადგინდა, რომ ქიმიის ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული გამწოვი კარადა, რაც უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამობას წარმოადგენდა. **კომპონენტი 3.6 — ინდიკატორი 3.6.3.5** შეფასდა როგორც „არ შეესაბამება", რამდენადაც სკოლის ვებგვერდზე არ იყო განთავსებული ინდიკატორით მოთხოვნილი სრული ინფორმაცია.

სკოლამ, ექსპერტთა მიგნებების გათვალისწინებით, წარმოადგინა **სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა**, რომელშიც განსაზღვრულია:

- შესასრულებელი სამუშაოები ვადების მითითებით;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები;
- პასუხისმგებელი პირები;
- საჭირო ადამიანური რესურსი;
- პროცესების შეფერხების რისკები.

გეგმის თანახმად, ქიმიის ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟება იგეგმება **2026 წლის 1 აგვისტომდე**. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის შეფასება შეიცვალა** და მიენიჭა სტატუსი **„მეტწილად შესაბამისი"**.

სკოლამ წარმოადგინა ასევე დამატებითი დანართები და მტკიცებულებები ხარვეზების გამოსწორების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა:

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი (07/04/2025, MIA 0 25 0104715), რომელიც ადასტურებს, რომ სკოლის საგანგებო მართვის გეგმა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებულ „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების" მოთხოვნებს და შეთანხმებულია სამსახურთან. **შესაბამისად ხარვეზი აღმოფხვრილია**

ექსპერტთა მიერ შემოწმდა სკოლის ვებგვერდი და დადგინდა, რომ მასზე განთავსებულია ინდიკატორით მოთხოვნილი სრული ინფორმაცია. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.3.5 შეფასდა როგორც „შესაბამისი"**.

კომპონენტი	ინდიკატორი	საწყისი შეფასება	საბოლოო შეფასება
3.4	3.4.1.1	არ შეესაბამება	მეტწილად შესაბამისი
3.6	3.6.3.5	არ შეესაბამება	შესაბამისი

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ-ქალაქ ბათუმის N 26 საჯარო **სკოლის მისიაა** - უსაფრთხო, პოზიტიური, სწავლის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, სადაც ყველა ბავშვი ლაღი, მოაზროვნე, მაძიებელი, თავდაჯერებული, მიღებული და დაფასებულია, სადაც სწავლა სასიამოვნო და საინტერესო თავგადასავლებით სავსე პროცესია წარმატების მისაღწევად. ინტელექტუალური თუ მატერიალური ღირებულებების შესაქმნელად მოზარდებს ჩამოვუყალიბებთ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს, დავეხმარებით ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის, უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. პრიორიტეტად ვსახავთ არაფორმალურ განათლებას, პროექტულ სწავლებას, ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნებასა და დაცვას, დემოკრატიული ღირებულობების ამაღლებას.

სკოლის ხედვაა - სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის განაწილების გზით ხელი შეუწყოს თითოეული მოზარდის წარმატებას. აღჭურვოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და სოციალურად სწორი ორიენტაციით.

წარმოდგენილი მისია, ექსპერტთა შეფასებით, ითვალისწინებს ზოგადი განათლების სისტემის ძირითადი მიზნებისა და ღირებულებების კომპლექსურ ჩამონათვალს და ორგანულად უკავშირდება 2022 წლის ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ სამიზნე მიმართულებებს. მისი შინაარსი მკაფიოდ ასახავს ბავშვის განვითარების სრულფასოვან მხარდაჭერას, რაც გამოკვეთილად შეესაბამება შემდეგ მიზნებს:

- **უსაფრთხო, პოზიტიური, სწავლის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა**
  შეესაბამება მიზანს №5 – დამოუკიდებელი ცხოვრებისა და გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მისაღებად მომზადებული მოქალაქის აღზრდა; ასევე შეესაბამება მიზანს №7 – ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური განვითარების ხელშეწყობა და კომუნიკაციის მაღალი კულტურის განვითარება.

- **ყველა ბავშვი ლაღი, მოაზროვნე, მაძიებელი, თავდაჯერებული, მიღებული და დაფასებულია** შეესაბამება მიზანს №5 – მოაზროვნე, პასუხისმგებლიანი და თვითშეფასების მქონე მოქალაქის აღზრდა; ასევე უკავშირდება მიზანს №6 – ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბება.
- **სწავლა განიხილება როგორც სასიამოვნო და შემოქმედებით თავგადასავალზე დაფუძნებული პროცესი** შეესაბამება მიზანს №4 – წიგნიერი, სიახლეების მიმღები და ღირებულებების შემქმნელი მოქალაქის აღზრდა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ინტელექტუალური თუ სულიერი რესურსების განვითარებაში
- **მოსწავლეებში დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარება** თანხვედრაშია მიზანთან №5, რომელიც მოიცავს მოქალაქის აღზრდას, რომელსაც გააჩნია ინფორმირებულობა, თვითრეფლექსია, პასუხისმგებლობა და თვითწარმმართველი უნარები.
- **ეროვნული ღირებულებების, ტრადიციების და ქვეყნის ინტერესების მიმართ პასუხისმგებლობის განცდის ფორმირება** სრულად შეესაბამება მიზანს №1 – პატრიოტი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდა; ნაწილობრივ შეესაბამება მიზანს №3 – მაღალი სამოქალაქო ცნობიერებისა და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი მოქალაქის აღზრდა.
- **არაფორმალური განათლებისა და პროექტზე დაფუძნებული სწავლების წახალისება** შეესაბამება მიზნებს №4 და №5 – შემოქმედებითი, ინოვაციური და ცხოვრებისეული უნარებით აღჭურვილი მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელიც არის თვითსწავლის პროცესის აქტიური მონაწილე.
- **ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა** სრულ შესაბამისობაშია მიზანთან №9 – ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მქონე, გარემოზე მზრუნველი მოქალაქის აღზრდა, რომელსაც შეუძლია ადეკვატური რეაგირება კლიმატურ და გარემოსდაცვით საჭიროებებზე.
- **დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცება** შეესაბამება მიზანს №3 – დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მატარებელი მოქალაქის აღზრდა, რომელიც ამ ღირებულებებს უკავშირებს სახელმწიფოებრიობას, პატრიოტიზმსა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას - სკოლის მისია წარმოადგენს ყოვლისმომცველ და ღირებულებებზე ორიენტირებულ ხედვას, რომელიც სრულ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტით დადგენილ სტრატეგიულ მიმართულებებთან. აღნიშნული მისია ემსახურება სწავლაზე ორიენტირებული, ზნეობრივად ჩამოყალიბებული, დემოკრატიული და ინკლუზიური საზოგადოების ფორმირებას და ქმნის მყარ საფუძველს განათლების სისტემაში სახელმწიფოებრივი და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების რეალიზაციისთვის.

სკოლის ხედვა ასევე შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ვინაიდან ის მიზნად ისახავს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებას, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარების ჩამოყალიბებასა და სოციალურად სწორი ორიენტაციის ფორმირებას. კონსტრუქციულ თანამშრომობასა და პასუხისმგებლობის განაწილებაზე ორიენტაცია შეესატყვისება ეროვნული მიზნების ფარგლებში განსაზღვრულ ღირებულებებს, მათ შორის დემოკრატიულობა, თანასწორობა და მოქალაქეობრივი ცნობიერება.

აქვე სკოლა მიეცა რჩევა ხედვასთან დაკავშირებით - იმისათვის, რომ ხედვა გახდეს უფრო მიზანმიმართული და პროგრესის მონიტორინგისთვის ეფექტურად გამოსაყენებელი, სასურველია, მასში განისაზღვროს ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც სკოლა მიზნად ისახავს შესაბამისი შედეგების მიღწევას. დროითი ჩარჩოს დამატება ხელს შეუწყობს მიზნების შესრულების ეტაპობრივი შეფასებისა და პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილების შესაძლებლობას, რაც გააუმჯობესებს როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების პროცესს.

ინდიკატორის (1.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

მთლიანობაში, სსიპ-ქალაქ ბათუმის N 26 საჯარო სკოლის მისია და ხედვა ერთმანეთიდან გამომდინარეობს და ერთიანობით განსაზღვრავენ სკოლას როგორც განვითარებაზე და სოციალურ ინტეგრაციაზე ორიენტირებულ ინსტიტუციას სკოლის როლი ხაზს უსვამს უსაფრთხო, პიროვნული განვითარების და სოციო-კულტურული გარემოს შექმნას, რაც სრულად ასახულია მისია-ხედვის ტექსტში.

უსაფრთხო გარემო მისიის ძირითადი პრიორიტეტია — სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ, მხარდაჭერით სავსე სივრცეს, სადაც ბავშვები თავს დაცულად და დაფასებულად გრძნობენ.

პიროვნული განვითარება გამოხატულია მოსწავლეთა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისა და პასუხისმგებლობის ზრდის ფორმირებით, რაც ხედვის მიხედვით განისაზღვრება როგორც დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევებით აღჭურვა.

სოციო-კულტურული გარემო ქმედითად განისაზღვრება არაფორმალური განათლების, პროექტული სწავლის, ბუნების დაცვისა და დემოკრატიული ღირებულებების ამაღლებით, რაც სკოლას საზოგადოებრივ აქტორად წარმოსახავს.

ინდიკატორის (1.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და შესაბამის პირებთან გასაუბრებით ირკვევა, სკოლის მისიის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება. პროცესის კოორდინაცია განხორციელდა სკოლის დირექციის ორგანიზებით, რომელიც უზრუნველყოფდა სამუშაო შეხვედრების პერიოდულ დაგეგმვასა და ჩატარებას. სსიპ – ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლაში, სკოლის

ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, დირექტორის 2025 წლის 13 თებერვლის N01-03/01ბ ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი მოიცავდა სკოლის პერსონალს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. სამუშაო ჯგუფის ინიციატივით შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომლის მეშვეობითაც ჩატარდა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა გამოკითხვა. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

აღნიშნული პრაქტიკა, რომელიც დადასტურებულია როგორც შესაბამისი ადმინისტრაციული ოქმებით, ისე პირადი ინტერვიუებით, ადასტურებს, რომ სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბების პროცესში უზრუნველყოფილი იყო სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობა და ფართო საზოგადოებრივი ჩართულობა.

ინდიკატორის (1.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

როგორც აღნიშნულია პუნქტში 1.1.1.3, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ფართო წრე. დოკუმენტის საბოლოო სახის მინიჭებამდე, მის პროექტს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განიხილეს პედაგოგებმა, ხოლო კლასის დამრიგებელთა მეშვეობით — მოსწავლეთა მშობელთა საერთო კრებებზე. აღნიშნული პროცესი ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია თანამშრომლობითი ფორმატით და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების სრული თანხმობითა და მხარდაჭერით.

ინდიკატორის (1.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა უზრუნველყოფს საკუთარი ფილოსოფიის საჯაროობას. ამ მიზნით, სკოლის შესასვლელში, პირველ სართულზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, რომელზეც გამოქვეყნებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ასევე სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორის (1.1.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13

სექტემბრის ბრძანებით, ასევე 2017 წლის 16 მარტის №448 ბრძანებით, რომელიც არეგულირებს საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესს. აღნიშნული სახელწოდება სრულად შეესაბამება სკოლის სამართლებრივ სტატუსს.

ინდიკატორის (1.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
- კითხვარები;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები:
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის წარმომადგენლებთამ გასაუბრების შედეგები;
- სკოლის ვებ გვერდი;
- სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალირების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული „ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია", რომელიც დამტკიცებული სკოლის დირექტორის N01-03/01ა ბძანებით, ცალსახად განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპებს, მათ შორის – სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. დოკუმენტის მე-2 და მე-4 მუხლები მკაფიოდ აღწერს როგორც საზოგადოების ჩართულობის ფორმატს (თანამონაწილეობითი დაგეგმვა, დოკუმენტების გაზიარება), ისე პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფს მოლოდინებისა და ინტერესების გათვალისწინებას სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისას.

ინდიკატორის (1.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა (2024–2031 წწ.), რომელიც განხილულია სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე 2024 წლის 6 სექტემბერს და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ იმავე წლის 7 სექტემბერს (ოქმი N1). დოკუმენტში ცვლილება შეტანილია 2025 წლის 14 მარტს. გეგმა წარმოადგენს შვიდწლიან გრძელვადიან დოკუმენტს, რომელიც მომზადებულია სკოლის მისიისა და ხედვის გათვალისწინებით. შესავალ ნაწილში ხაზგასმულია, რომ დოკუმენტი ეფუძნება სტრატეგიულ მიზნებს და მისი მიზანია ორგანიზაციული განვითარების პროცესში მისიისა და მიზნების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული გეგმა აგებულია ექვს ძირითად სტრატეგიულ მიმართულებაზე:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება
- ადამიანური რესურსის განვითარება
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა
- ინკლუზიური განათლების გაძლიერება და სახელობო მიმართულებების დამატება

აღნიშნული მიზნები თანხვედრაშია სკოლის მისიასა და ხედვასთან. მაგალითად, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება პასუხობს პერსონალიზებული სწავლების ხედვას. ადამიანური რესურსის განვითარება, გამჭვირვალე შერჩევის მექანიზმები და პროფესიული ზრდის პოლიტიკა ასახავს მენეჯმენტის სტრატეგიულ ხედვას, რომელიც ხარისხზეა ორიენტირებული. აგრეთვე, მშობლებისა და მოსწავლეების აქტიური

მონაწილეობა, უკუკავშირის მექანიზმები და კომუნიკაციის თანამედროვე არხების გამოყენება მოწმობს, რომ დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლის საზოგადოების საჭიროებებს.

გეგმის სტრუქტურა ზოგადად შეესაბამება დოკუმენტის მოთხოვნებს. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც გეგმის შესაბამის ველში მითითებული „ამოცანები" წარმოადგენს კონკრეტულ მოქმედებებს ან საქმიანობებს (მაგალითად: „მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების შეთავაზება", „დაფების შეძენა", „კითხვის ბარათების მომზადება"), რაც უფრო აქტივობების დონეს შეესაბამება. აღნიშნული კი ამცირებს ამოცანების სტრატეგიულ დატვირთვას და არღვევს მიზანი-ამოცანა-აქტივობის ლოგიკურ კავშირს.

შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, მომდევნო სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში უკეთ განისაზღვროს ამოცანებისა და აქტივობების შინაარსობრივი განსხვავება. ამოცანა უნდა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ეტაპს ან შუალედურ შედეგს, ხოლო აქტივობა – ამ ამოცანის პრაქტიკულად შესასრულებელ მოქმედებას. აღნიშნული განვრცობა გააძლიერებს დოკუმენტის ლოგიკურ სტრუქტურას და ხელს შეუწყობს განხორციელებული საქმიანობების შედეგიან მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორის (1.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის 2024–2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე 2024 წლის 7 სექტემბერს (ოქმი N1). დოკუმენტი წარმოადგენს ერთწლიან გეგმას, რომელიც შემუშავდა 2024–2031 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის საფუძველზე. გეგმის შემუშავებისას სკოლამ იხელმძღვანელა წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზით, მათ შორის შესაბამისი ანგარიშებითა და SWOT ანალიზით. ასევე, გაითვალისწინა გამოვლენილი გამოწვევები და განვითარებისთვის პრიორიტეტული მიმართულებები.

ექსპერტთა მიერ დოკუმენტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ორიენტირებულია ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორიცაა სწავლებისა და შეფასების პროცესის გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლება და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული პრიორიტეტები სრულად შეესაბამება სკოლის სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ მიზნებს და ასახავს დაწესებულების მიზანმიმართულ განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ინდიკატორის (1.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელ კომპონენტებს: თითოეული მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები, რეალისტურად დაგეგმილი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პროცესზე პასუხისმგებელი პირები ან სტრუქტურული ერთეულები, ასევე – აქტივობების განსახორციელებელი კალენდარული ვადები.
ექსპერტთა შეფასებით, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ამოცანები და აქტივობები შეესაბამება სკოლის შესაძლებლობებს, გამოხატავს სტრატეგიულ მიზნებთან ლოგიკურ კავშირს და მათი შესრულება დაკისრებულია კომპეტენტურ პირებზე ან ერთეულებზე. დოკუმენტი უზრუნველყოფს მიზნებზე ორიენტირებულ, ეტაპობრივ და მონიტორინგისთვის ხელსაყრელ მართვას, რაც ზრდის გეგმის რეალიზების ეფექტიანობას.
ინდიკატორის (1.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N 1რ რიცხვი 07.09.2024;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N 1 06.09.2024.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით "სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია" (მუხლი 11) განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის და შეფასების წესები, რომლის თანახმად სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ, დაკვირვებით და შეფასებით, რაც უზრუნველყოფს იმ მიზნების შესრულების დადგენას, რომლებიც განსაზღვრულია სტრატეგიულ გეგმაში, აგრეთვე ფასდება, თუ რამდენად ეფექტური იყო დამტკიცებული სტრატეგია. დოკუმენტის თანახმად მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ასევე ანგარიშების წარდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე) სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში.

ინდიკატორის (1.2.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

როგორც უკვე აღნიშნულია (იხ. 1.2.2.1), სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია ითვალისწინებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ყოველი სასწავლო წლის ბოლოს. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილია სკოლის საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების სხვადასხვა ფორმა. უკუკავშირი სისტემატურად მიიღება:

- საერთო შეხვედრებზე;
- საგნობრივი კათედრების სხდომებზე;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე;
- გამოკითხვებისა და კითხვარების საშუალებით;
- დამრიგებლების მიერ ორგანიზებულ მშობელთა კრებებზე;
- გაერთიანებულ საკომუნიკაციო შეხვედრებზე;
- სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელებისა და ელ. ფოსტის გამოყენებით.

გარდა ამისა, სკოლის მართვის პროცესში დანერგილია ანგარიშგების მექანიზმი, რომელიც ავალდებულებს ყველა სტრუქტურულ ერთეულს წარადგინოს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ანგარიში განხორციელებული საქმიანობებისა და მიღწეული შედეგების შესახებ. აღნიშნული მიდგომა აძლიერებს არა მხოლოდ გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, არამედ ქმნის საფუძველს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დროული გადახედვისა და გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის (1.2.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესი და მისი მონიტორინგის შედეგები სისტემატურად ზიარდება სკოლის საზოგადოებისათვის. ინფორმაციის კომუნიკაცია ხორციელდება მრავალარხიანი მექანიზმების მეშვეობით, მათ შორის:

1. დირექტორის ყოველწლიური ანგარიშების პრეზენტაციები;
2. სტრატეგიული ან სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადებული თემატური ანგარიშები;

3. პროექტების შესრულების ანგარიშები;
4. სხვა ტიპის საინფორმაციო ფორმატები.

აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს გამჭვირვალობისა და სკოლის საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას სტრატეგიული გეგმის ეფექტიანი განხორციელებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისათვის.
არსებული მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის დირექტორის ანგარიშების) საფუძველზე დადგინდა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ დირექტორის ანგარიშს სამეურვეო საბჭო იღებს ყოველწლიურად 10 დეკემბრამდე. დირექტორის ანგარიშის წარდგენა და განხილვა აგრეთვე ხორციელდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რაც დადასტურდა როგორც დირექტორის, ასევე პედაგოგიური პერსონალის წარმომადგენლებთან გასაუბრებით. აღნიშნული პრაქტიკა აჩვენებს ანგარიშგებისა და კომუნიკაციის მექანიზმების ფუნქციონირებას.
ექსპერტთა მიერ შემოწმდა ასევე საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული სსიპ - ქალაქ ბათუმის N 26 საჯარო სკოლის ყოველწლიური ანგარიშები.

ინდიკატორის (1.2.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რაც ასევე დაგვიდასტურეს დირექციის წარმომადგენლებმა, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ანალიზდება, დგინდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რისი გათვალისწინებითაც სკოლა სახავს ინტერვენციებს გამოწვევებისა და გასაძლიერებელი მხარის გასაუმჯობესებლად. ამის დასტურად სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 ს.წ. SWOT ანლიზი.

ინდიკატორის (1.2.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ 06.09/2024 წ;
- მონიტორინგის განხორციელების ინსტრუმენტი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

ზოგადი განათლების შესახებ კანონთან შესაბამისობაში, სსიპ – ქალაქ ბათუმის №26 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ხუთი ძირითადი სტრუქტურული ერთეული:

- სამეურვეო საბჭო
- დირექცია
- პედაგოგიური საბჭო
- მოსწავლეთა თვითმმართველობა და
- დისციპლინური კომიტეტი.

ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნების საფუძველზე, სკოლაში ჩამოყალიბებულია შვიდი საგნობრივი კათედრა, რაც საგანმანათლებლო პროცესის თემატურად და პროფესიულად ორგანიზებულ მართვას უწყობს ხელს.

საშტატო განრიგისა და EMIS-ის მონაცემების მიხედვით, სკოლის დირექცია წარმოდგენილია დირექტორით, მოადგილითა და ბუღალტრით. ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ მართვაში ასევე ჩართულნი არიან შემდეგი პერსონალი:

- ბიბლიოთეკარი
- ექიმი
- IT მენეჯერი
- საქმისმწარმოებელი

- ჟესტური ენის სპეციალისტი
- ფსიქოლოგი
- ცეცხლფარეში
- საინფორმაციო მენეჯერი
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი
- ოთხი დამლაგებელი
- 2 დარაჯი
- 46 მასწავლებელი

მათი კოორდინირებული საქმიანობა უზრუნველყოფს სკოლის უწყვეტ ფუნქციონირებას, უსაფრთხოებისა და რესურსების მართვის ეფექტიანობას.

აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების სისტემური და ფუნქციური მუშაობა ხელს უწყობს სკოლის უწყვეტ და ხარისხიან განვითარებას, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე შიდა სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

ინდიკატორის (3.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების დოკუმენტი, რომლის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სტეუქტურათა უფლებამოსილებები მკაფიოდ განსაზღვრულია, ფუნქციები გამიჯნულია და დელეგირებულია ისე, რომ არ ხდება მოვალეობათა გადაკვეთა ან დუბლირება. ეს გარემოება ხელს უწყობს სკოლაში საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან მართვას.

სამეურვეო საბჭო, როგორც ზედამხედველი ორგანო, მონაწილეობს სკოლის საქმიანობის სტრატეგიულ მართვაში. საბჭო ყოველწლიურად:

- ამტკიცებს სკოლისთვის შემუშავებულ ბიუჯეტს,
- ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმას,
- აკონტროლებს ფინანსების ხარჯვას და ქონების მართვას,
- განიხილავს დირექტორის მიერ წარდგენილ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო და ფინანსური საქმიანობის შესახებ.

მოსწავლეთა თვითმმართველობა ფუნქციონირებს აქტიურად. მისი წევრები ირჩევიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მიერ. თვითმმართველობას ხელმძღვანელობს მოსწავლეების მიერ არჩეული თავმჯდომარე. ორგანიზაცია ჩართულია სკოლის კულტურულ, საგანმანათლებლო და სოციალურ აქტივობებში, რითაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ხმას და მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში.

პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს სკოლის პროფესიულ კოლექტიურ ორგანოს, რომელსაც დამტკიცებული აქვს:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- სასწავლო წლის განმავლობაში გამოყენებული სახელმძღვანელოების ნუსხა და
- სხვა დოკუმენტაცია, რომელიც უკავშირდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და ხარისხიან განხორციელებას.

დისციპლინური კომიტეტი, რომელიც შექმნილია სკოლის წესდების შესაბამისად, განიხილავს დისციპლინურ შემთხვევებს და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების ობიექტურობასა და სამართლიანობას. მისი შემადგენლობა მოიცავს პედაგოგს, მშობელს და საშუალო საფეხურის მოსწავლეს, რაც უწყობს ხელს გადაწყვეტილებების ინკლუზიურობას და სამართლიან წარმომადგენლობას.

საგნობრივი კათედრები კოორდინაციას უწევენ შესაბამის საგნებში სწავლა-სწავლების პროცესს, ხელს უწყობენ კოლეგებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარებას, განსაზღვრავენ წარმატების წინაპირობებს, იდენტიფიცირებენ გამოწვევებს და განავითარებენ მათ გადაჭრის გზებს. კათედრების ფუნქციებში ასევე შედის:

- სასწავლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
- სხვა საგნობრივ ჯგუფებთან თანამშრომლობა;
- სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვა;
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და შესაბამისი დოკუმენტაციის მართვა.

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციური ბალანსი, პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილება და თანამშრომლობის მექანიზმების არსებობა ქმნის მყარ საფუძველს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მართვის მოდელი შესაბამისობაშია როგორც ეროვნულ კანონმდებლობასთან, ისე სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან.

რაც შეეხება ცალკეული პოზიციების უფლებებსა და ფუნქციურ ვალდებულებებს, ისინი ძირითადად გაწერილია ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებსა და საშტატო განრიგში. თუმცა, შესაბამისი ინფორმაცია არ არის თავმოყრილი ერთიან დოკუმენტში, რომელიც სისტემურად წარმოადგენდა ყველა თანამშრომლის უფლებამოსილებებს და პასუხისმგებლობებს.

შეფასების შედეგად სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია შეიქმნას სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა პოზიციის ფუნქციები, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული დოკუმენტი:

- **გაუმჯობესებს შიდა კომუნიკაციასა და მართვის გამჭვირვალობას;**
- **შეამცირებს ფუნქციურ დუბლირებასა და პასუხისმგებლობათა აღრევის რისკს;**
- **ხელს შეუწყობს რესურსების მიზნობრივ განაწილებასა და შიდა პროცესების სისტემატიზაციას.**

ინდიკატორის (3.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დირექციასთან, ტექნიკურ პერსონალთან და მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- პედსაბჭოს ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე;
- კათედრის ოქმები სასწავლო რესურსების დამტკიცებაზე;
- თვითმართველობის თავმჯდომარის და მდივნის არჩევის ოქმი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის უმთავრესი მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება პერსონალის მართვის ეფექტიანი და სისტემური მენეჯმენტით. ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის შრომის შინაგანაწესისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული პროცესები ეფუძნება ორგანიზაციულად გამართული სტრუქტურის არსებობასა და სამართლებრივად განსაზღვრულ წესებს. პერსონალის მართვის პროცედურები გაწერილია სკოლის მიერ შემუშავებულ სპეციალურ მარეგულირებელ დოკუმენტში, რომელიც შეიქმნა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს" მიერ ორგანიზებული „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის" ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების შედეგად. დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სკოლის პროფესიული საზოგადოება, რაც უზრუნველყოფს მასში ასახული მიდგომების პრაქტიკულ შესაბამისობას.

სკოლას გააჩნია **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა**, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 20 მარტის №01-03/11 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება სკოლის ხედვასა და ღირებულებებს და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ძირითად მიმართულებებსა და სტრატეგიას. კონკრეტულად, პოლიტიკით დადგენილია:

- ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და სტრატეგიული მიდგომები;
- ძირითადი ამოცანები და მართვის პრინციპები;
- პოლიტიკის როლი სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში;

- პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები.

ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა თანხვედრაშია სკოლის შიდა რეგულაციებთან. **სკოლის შინაგანაწესი**, რომელიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, სრულ შესაბამისობაშია შრომის კოდექსთან და პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა ხდება დემოკრატიული მექანიზმებით, და ნებისმიერი ცვლილება წინასწარ უთანხმდება და ეცნობება სკოლის პერსონალს.

ინდიკატორის (3.1.2.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ექსპერტთა მიერ სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისა და დოკუმენტური ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა მოიცავს როგორც პრევენციული, ისე ინტერვენციული ხასიათის მექანიზმებს, რაც მიუთითებს პერსონალის მართვის პროცესის მიზნობრივ და ფუნქციურად გააზრებულ მიდგომაზე.

პრევენციული ღონისძიებები ძირითადად უკავშირდება თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების ამოცნობასა და მხარდაჭერას. კერძოდ, სკოლა ახორციელებს პერსონალის დაკვირვება-შეფასებას, რაც მიზნად ისახავს ინდივიდუალური სიძლიერეების და საჭიროებების იდენტიფიცირებას. ეს პროცესი საფუძვლად ედება თანამშრომელთა მხარდაჭერას და პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებულ ნაბიჯებს, რაც ქმნის გარემოს, სადაც პრევენცია მხოლოდ ფორმალური მოთხოვნა კი არა, ორგანიზაციული კულტურის ნაწილი ხდება.

ინტერვენციული ღონისძიებები სკოლაში მიმართულია სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. ვაკანსიის წარმოშობის ან კადრების დროებითი ნაკლებობის პირობებში, ადმინისტრაცია მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა რეგულაციებით დადგენილი ვადებისა და პროცედურების შესაბამისად. ეს აჩვენებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სწრაფი რეაგირების მნიშვნელობა და კრიზისულ სიტუაციებში ოპერატიულად იღებს გადაწყვეტილებებს.

სკოლის შრომის შინაგანაწესი, განსაკუთრებით მე-4 მუხლი, დეტალურად განსაზღვრავს თანამშრომლის პასუხისმგებლობებს გამოუცხადებლობისა და დაგვიანების შემთხვევაში. შესაბამისი პროცედურები გარკვევით აწესებს შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და დისციპლინური რეაგირების შესაძლებლობას. მსგავსი დეტალიზაცია მიუთითებს შიდა პროცესების ორგანიზებულობაზე და სკოლის მხრიდან შრომითი დისციპლინის მართვისადმი სერიოზულ მიდგომაზე.

ინდიკატორის (3.1.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლა პერსონალის შერჩევის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული **„მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“**, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითადი ეტაპებსა და პროცედურებს.

ზემოაღნიშნული რეგულაციის საფუძველზე სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში პერსონალის შერჩევის პროცესის ეტაპები, მეთოდები და გადაწყვეტილების მიღების სტანდარტები. სკოლის შიდა რეგლამენტით განსაზღვრული კადრების მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმი ასახავს იმ ძირითად სამართლებრივ და პროფესიულ პრინციპებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია გამჭვირვალე და სამართლიანი შერჩევის პროცესის უზრუნველყოფისათვის. დოკუმენტი ასევე ხაზს უსვამს, რომ პერსონალის შერჩევის პროცედურები უნდა იყოს მკაფიო, თანმიმდევრული და გათვლილი კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე, რაც ეხმიანება როგორც სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს, ისე ზოგად ადმინისტრაციულ მმართველობას.

მნიშვნელოვანია, რომ შერჩევის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც ქმნის სტრუქტურულ ერთიანობას შერჩევისა და შემდგომი შეფასების პროცესებს შორის. ეს მიდგომა უზრუნველყოფს იმ პრინციპის დაცვას, რომ შერჩეული კანდიდატი პასუხობდეს პოზიციის შინაარსობრივ მოთხოვნებს.

სკოლას გააჩნია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული, დირექტორის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგი, რაც მიუთითებს ადამიანური რესურსების დაგეგმვის სისტემურ მიდგომაზე. ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის გზით, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების სრული დაცვით. კონკურსის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად სკოლაში მოქმედებს საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობა მრავალფეროვანია და მოიცავს:

- სკოლის წარმომადგენლებს;
- ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელს;
- მოწვეულ სპეციალისტს, როგორც გარე დამოუკიდებელ წევრს.

კონკურსის გამოცხადება და ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის განთავსება ხდება პორტალზე https://teacherjobs.ge, რაც უზრუნველყოფს პროცესის საჯაროობასა და კანდიდატებისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

სკოლაში პერსონალის შერჩევის მექანიზმები გამოირჩევა სამართლებრივი სტანდარტების დაცვით და პროცესების გამჭვირვალობით. შერჩევის პროცესის ყველა ეტაპი ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს კანონის შესაბამის, დოკუმენტურად გამყარებულ გადაწყვეტილებებს.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ასახავს არა მხოლოდ შერჩევის ფორმალურ წესებს, არამედ პროცესის ღირებულებით მხარესაც – ობიექტურობას, სამართლიანობასა და კოლეგიალურობას. საკონკურსო კომისიის შემადგენლობის შერეული და მრავალწევრიანი ფორმატი ხელს უწყობს გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციასა და გარე დამოუკიდებელი პერსპექტივის შეტანას პროცესში.

საგულისხმოა, რომ სკოლა შერჩევის პროცესს არ ამოწურავს მხოლოდ კონტრაქტის გაფორმებით – ახალი თანამშრომლის ინსტიტუციურ ინტეგრაციას გააზრებული სახე აქვს და მასში ჩართულია როგორც კოლექტივი, ისე ადმინისტრაცია, რაც მაღალეფექტიანი პრაქტიკაა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სკოლას აქვს უფლება, კონკურსი გამოაცხადოს წინასწარ მოსალოდნელ ვაკანსიაზე — ეს მიუთითებს პროგნოზირებასა და ადამიანური რესურსების დაგეგმვის უნარზე, რაც არსებითია ინსტიტუციური მდგრადობისთვის.

ჯამში, სკოლის პერსონალის შერჩევისა და ინტეგრაციის პრაქტიკა ეხმიანება ხარისხიანი განათლების მართვის სტანდარტებს, ქმნის სამართლიანობისა და პროფესიონალიზმის გარემოს და ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის გამყარებას

ინდიკატორის (3.1.2.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

დოკუმენტური ანალიზისა და პერსონალური საქმეების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით" გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ამავდროულად, სხვა კატეგორიის თანამშრომლების — მათ შორის ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის — დასაქმება ეფუძნება სკოლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ და შიდა დოკუმენტაციით გამყარებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც ასევე დადასტურდა მათი პირადი საქმეების შესწავლის გზით. თითოეული თანამშრომლის საქმეში წარმოდგენილია შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციისა და საჭიროების შემთხვევაში — სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ასევე ცნობები, რითაც დასტურდება, რომ მათ არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლა მოქმედებს არა მხოლოდ ფორმალური შესაბამისობის ფარგლებში, არამედ უზრუნველყოფს დასაქმების პროცესის სამართლებრივ და დოკუმენტურ გამართულობას, რაც ხელს უწყობს სისტემურ და კომპეტენციაზე დაფუძნებულ ადამიანური რესურსების მართვას.

ინდიკატორის (3.1.2.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში პერსონალის მართვა დამყარებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე. სკოლის თანამშრომლები აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას და პატივს სცემენ კოლეგების აზრს. თითოეულისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული ზრდა და განვითარება. სკოლის პედაგოგებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სკოლის დირექციის მხრიდან, წახალისებულია მათი ინიციატივები, რაც თანაგუნდელებს შორის საქმინობისათვის ნდობას და პოზიტიურ ატმოსფეროს ქმნის.

ინდიკატორის (3.1.2.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის დირექციისა და პედაგოგიური გუნდის წარმომადგენლებთან საუბრის შედეგად დადგინდა, რომ ისინი სრულად აცნობიერებენ წარმატების აღიარების მნიშვნელობას როგორც სკოლის ეფექტიანობის, ასევე სასკოლო საზოგადოების მოტივაციისა და განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამ გზით სკოლა განზრახულად ხელს უწყობს წარმატებული გამოცდილებების გავრცელებას როგორც შიდა, ისე გარე პროფესიულ სივრცეში.

სწავლის წარმატებული პრაქტიკის გაზიარება ხორციელდება სხვადასხვა ფორმით. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს სკოლის მიღწევების გასავრცელებლად, ასევე აწყობს შიდა შეხვედრებს კოლეგებთან, სადაც ინოვაციური მიდგომების, ეფექტური გაკვეთილებისა და პრაქტიკის კვლევის შედეგების განხილვა ხდება.

საგნობრივ კონფერენციებში წარმატებული პედაგოგები თავიანთ გამოცდილებას პრეზენტაციის ფორმატში უზიარებენ კოლეგებს. ისინი დეტალურად განმარტავენ ჩატარებული აქტივობის არსს, დაგეგმვის პროცესს და გამოყოფენ იმ ფაქტორებს, რომლებმაც წარმატება განაპირობა.

აღნიშნული მიდგომა არა მხოლოდ ხელს უწყობს კოლეგიალურ თანამშრომლობას, არამედ რეალურად ქმნის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, რაც აისახება სწავლების ხარისხზე და პროფესიული კულტურის განმტკიცებაზე.

ინდიკატორის (3.1.2.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის შესახებ დოკუმენტი;
- საგნობრივი კათედრების სამუშაო მასალები.
- I სემესტრის შემაჯამებელი ოქმი;
- ღია კონკურსის მასალები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ - ქალაქ ბათუმის საჯარო სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც გააჩნია საქმიანობის დებულება. დებულებაში დეტალურად გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენის მექანიზმი. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, პრაქტიკაში, სკოლა სისტემატურად ახორციელებს საჭიროებათა ინტეგრირებულ კვლევას, რომელიც ორიენტირებულია როგორც პროცესების მონიტორინგზე, ისე მასწავლებელთა ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებების გამოვლენაზე.

აქვე სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, რომ კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებები და მიღებული შედეგები დოკუმენტურად დაფიქსირდეს, რათა სისტემატიზებული ინფორმაცია გამოიყენოს როგორც პროფესიული განვითარების დაგეგმვისთვის, ისე შიდა ან გარე მონიტორინგისა და ანალიზის პროცესებში. ეს ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის გაძლიერებას და გადაწყვეტილებების გამჭვირვალობას.

ინდიკატორის (3.2.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გამართული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ პერსონალის პროფესიული განვითარება ორგანიზებულია არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, მათ შორის „მასწავლებლის სახლთან" თანამშრომლობითა და შესაბამისი ტრენინგების ჩართვით. ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შედგენილი სხდომების ოქმები, ასევე საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმები ასახავს პროფესიული საჭიროებების გამოვლენის პრაქტიკას და შესაბამისი რეაგირების მზაობას.

რჩევა: სასურველია, სკოლამ პრევენციული მიზნებისთვის განსაზღვროს პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და შეიმუშავოს მონიტორინგის და გაკვეთილებზე დასწრების გეგმა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სკოლის პერსონალის და მასწავლებელთა პრაქტიკის სისტემურ ანალიზსა და მიზნობრივი მხარდაჭერის დაგეგმვას.

ინდიკატორის (3.2.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა აქტიურად უწყობს ხელს პერსონალის პროფესიულ ზრდასა და კარიერულ განვითარებას, რაც აღიქმება როგორც სკოლის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. ადმინისტრაცია მიზანმიმართულად ახდენს პერსონალის მოტივაციას, გათვალისწინებით მათი ინდივიდუალური ინტერესებისა და კვალიფიკაციის დონისა, რაც პოზიტიურად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე.

სკოლა მიიჩნევს, რომ თანამშრომელთა გადამზადება და პროფესიული კომპეტენციების განვითარება წარმოადგენს ინსტიტუციური პროგრესის წინაპირობას. ამ მიზნის მისაღწევად ადმინისტრაცია უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის გავრცელებას მიმდინარე ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების სხვა შესაძლებლობების შესახებ. თანამშრომელთა ჩართულობა სხვადასხვა ტრენინგში წარმოადგენს მათი განვითარების ინტეგრირებულ ფორმას, რომელიც ხელს უწყობს კომპეტენციების გაუმჯობესებას და თვითრეალიზაციის შესაძლებლობების გაზრდას.

მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესში მონაწილეობა დადასტურებულია მათი პირადი საქმეებით, სადაც განთავსებულია შესაბამისი სერტიფიკატები. სკოლა უზრუნველყოფს როგორც მასწავლებლების, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლების ტრენინგებთან წვდომას, რაც კიდევ უფრო აღრმავებს პერსონალის ჩართულობას განვითარების პროცესში. კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წელს: სკოლის დირექტორის მოადგილემ წარმატებით გაიარა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსი, რომელიც შედგებოდა სამი ძირითადი მოდულისგან: სკოლის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა; სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმი; ხარისხის მართვის მექანიზმები სკოლაში. სკოლის საქმისმწარმოებელმა მიიღო მონაწილეობა პროფესიული განვითარების ტრენინგში თემაზე: „სკოლის საქმისმწარმოებლის პროფესიული განვითარება". სკოლის ბიბლიოთეკარმა გაიარა ორი სასერტიფიკატო კურსი:

„ბიბლიოთეკარის ეფექტური მუშაობის მეთოდიკა მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან"; „საბიბლიოთეკო ღონისძიებების მოწყობა".

აღნიშნული ფაქტები მიუთითებს, რომ სკოლაში წახალისების მექანიზმები მრავალმხრივია და ეხმიანება როგორც თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს, ისე მათი მოტივაციისა და ჩართულობის ზრდას.

ინდიკატორის (3.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ ახალ თანამშრომელს აცნობენ სასკოლო გარემოს, მის უფლება-მოვალეობებს, ახალ მასწავლებლებს ახვედრებენ შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელს და ამავე კათედრის წევრებს, აცნობენ კათედრის დებულებას, სასკოლო სასწავლო გეგმას, სამოქმედო გეგმას და რაც მთავარია მის უფლება-მოვალეობებთან ერთად, აცნობენ სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებს. კათედრაზე ხდება ახალბედა მასწავლებლის სრული მხარდაჭერა, პროფესიული გამოცდილების გაზიარება, სათანადო რჩევების მიცემა, სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაში ხელის შეწყობა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით,

აღნიშნული პროცესი განსაზღვრულია ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (მუხლი მუხლი 18 ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცესი). წარმოდგენილი მუხლი ასახავს სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესს და მის მნიშვნელობას პროფესიული წარმატებისათვის. ეტაპობრივი მიდგომა – მოლოდინების ფორმირება, პირველადი სოციალიზაცია და საბოლოო ინტეგრაცია – ასახავს გააზრებულ და სისტემურ მიდგომას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მენტორის გამოყოფის პრაქტიკა, რაც მორგებულია პროფესიული მხარდაჭერის თანამედროვე მოდელებს.

რჩევა: სასურველია, რომ ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცესთან დაკავშირებული თითოეული ეტაპი იყოს დოკუმენტურად ასახული შესაბამის ფორმებში ან ანგარიშებში (მაგალითად, მენტორის შეფასება, უკუკავშირი ადაპტაციის პერიოდიდან და სხვა). აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს ადაპტაციის პროცესის მონიტორინგს, ეფექტიან ანალიზს და მომავალში სისტემური გაუმჯობესების დაგეგმვას.

ინდიკატორის (3.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს როგორც მადლობის ოფიციალურ გამოცხადებას, ისე ფულად პრემიებსა და სხვა სტიმულირების ფორმებს. აღნიშნული პრაქტიკის არსებობა დადასტურდა სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტით, რომლის საფუძველზეც განხორციელდა თანამშრომლების ფულადი წახალისება.

ინდიკატორის (3.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლა პროცესების მართვას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის შიდა დოკუმენტებით — მათ შორის შრომის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმითა და ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტებით — დადგენილი პროცედურების შესაბამისად. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციული საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას და პროცესების სტრუქტურულად მართვას.

ინდიკატორის (3.3.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საქმიანობის მმართველობით პროცესები აღწერილია სკოლის ადმინისტრაციულ და უმაღლესი მმართველობითი რგოლის საქმიანობაში, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორის (3.3.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

გასაჩივრების პროცედურები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოებია სამეურვეო საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი. სკოლაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო, მაგალითად, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოში არის შესაძლებელი.

ინდიკატორის (3.3.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შრომის შინაგანაწესი დეტალურად განსაზღვრავს რეაგირების ფორმებსა და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება სკოლის პერსონალისა და მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვისა და შესაძლო დარღვევის შემთხვევების მართვის მიზნით. დოკუმენტში მოცემულია თითოეული მონაწილე მხარის პასუხისმგებლობა, რეაგირების ვადები და ფორმალური კომუნიკაციის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლებრივ ჩარჩოში წარმართვას.

შინაგანაწესით განსაზღვრული რეაგირების ფორმები და წესები ცნობილი და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, რაც იძლევა საშუალებას, რომ საკითხების განხილვა და გადაწყვეტა ხდებოდეს გამჭვირვალედ, სამართლიანად და წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სკოლის შიდა პროცესების დემოკრატიულ მართვას, თანამშრომლობითი ატმოსფეროს შენარჩუნებას და ნდობის ფორმირებას სკოლის ადმინისტრაციასა და მშობელთა საზოგადოებას შორის.

ინდიკატორის (3.3.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სკოლის შინაგანაწესი
- დისციპლინური კომისიის შესახებ ბრძანებები/ოქმები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მშობლების ინფორმირებულობას სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, კრების ფარგლებში მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სასკოლო სასწავლო გეგმაზე, სკოლის შრომის შინაგანაწესზე, მოსწავლეთა ქცევის კოდექსზე, შეფასების სისტემასა და ბიბლიოთეკის სარგებლობის წესებზე, ასევე სადამრიგებლო აქტივობებზე.

სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობა ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულებით, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, რაც განაპირობებს პასუხისმგებლობების გამჭვირვალე გადანაწილებას.

სკოლა კომუნიკაციისთვის ეფექტურად იყენებს ელექტრონულ არხებს — მათ შორის, ელ. ფოსტას, სოციალურ ქსელებს, დახურულ ჯგუფებსა და Microsoft Teams-ის პლატფორმას. ინფორმაციის მიწოდება ასევე ხორციელდება მშობელთა კრებებისა და სპეციალურად მათთვის შექმნილი კითხვარების საშუალებით. გარდა ამისა, სკოლას გააჩნია ვებ-გვერდი, რაც კიდევ უფრო ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ გამოვლინდა სისტემური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მშობლებთან მიღებული უკუკავშირის აღრიცხვასა და მასზე რეაგირებას მართვის პროცესებში. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ განავითაროს უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების ფორმალური სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას, ეფექტურად გაითვალისწინოს მშობელთა მოსაზრებები, საჭიროებები და ინიციატივები, რაც დადებითად აისახება სკოლის მართვის პროცესების გამჭვირვალობასა და საზოგადოების ჩართულობაზე.**

ინდიკატორის (3.3.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. კანონმდებლობის შესაბამისად ფორმირებულია და ფუნქციონირებს მართვის კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლამ წარმოადგინა მათი მუშაობის ამსახველი ოქმები

ინდიკატორის (3.3.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დისციპლინური კომისიის შესახებ ბრძანება;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგიის დოკუმენტი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- მშობლებისათვის შეთავაზებული სპეციალური კითხვარი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

დირექტორის, 2025 წლის ბრძანებით ბრძანებით N 01-03/12 დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ ბათუმის N 26 საჯარო სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მართვის დოკუმენტი. დოკუმენტის მუხლი 2.-ით განსაზღვრულია რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში. სკოლაში, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისთვის გამოყოფილია: უსაფრთხოებაზე, პასუხისმგებელი პირი, 2 მანდატური და 2 დარაჯი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი. დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც პერიოდულად იკრიბება და განიხილავს მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომლების უსაფრთხოების საკითხებს და დირექტორს წარუდგენს საჭირო რეკომენდაციებს.

ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ სკოლის ქიმიის ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული **გამწოვი კარადა**, რაც წარმოადგენს უსაფრთხოების ტექნიკური ნორმების შეუსრულებლობას და ეწინააღმდეგება როგორც მოქმედ კანონმდებლობას, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული გარემოება დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა როგორც ხარვეზი. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ **სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში** გათვალისწინებულია გამწოვი კარადის შეძენა და მონტაჟი, სამუშაოების დასრულების ვადით — **2026 წლის 1 აგვისტომდე**.

გეგმაში დამატებით განსაზღვრულია:

- სამუშაოს პასუხისმგებელი პირები;
- საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსები;
- შესრულების მონიტორინგის მექანიზმი;
- პროცესის შეფერხების შესაძლო რისკები და მათი მართვის გზები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი გეგმა რეალისტურია და უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას განსაზღვრულ ვადაში.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა**, რომელიც განსაზღვრავს კრიზისულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებს. გეგმა მოიცავს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათ დროულად გამოვლენის, რეაგირებისა და აღდგენის პროცედურებს, ასევე პასუხისმგებელი პირების უფლებამოსილებებს. თუმცა გეგმა არ იყო შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით („საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების დამტკიცების შესახებ"). შესაბამისად დასკვნის პროექტის მომზადების ეტაპზე, შეთანხმებული დოკუმენტის არ ქონა შეფასდა როგორც ხარვეზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დამატებით იქნა წარმოდგენილი **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი** (07/04/2025, რეგ. №MIA 0 25 0104715), რომელიც ადასტურებს, რომ სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სრულად შეესაბამება №452 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეთანხმებულია შესაბამის სამსახურთან.

სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N 002728425 01/05/2025. დასკვნის თანახმად ქალაქ ბათუმის კახაბრის ქ. N1 -ში საკადასტრო კოდი; N05.32.10.617) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე N26 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ვიზუალურად შენობას არ აღენიშნება დეფორმაციები ან სხვა რაიმე სახის დაზიანებები, რაც საფრთხეს შეუქმნის შენობის მდგრადობას და ხელს შეუშლის მის შემდგომ უსაფრთხო ექსპლუატაციას.
სახანძრო უსაფრთხოების მიზნით შენობის სართულებზე გამოკრული საევაკუაციო გეგმები, ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, თუმცა სკოლას არ აქვს სიგნალიზაციის სისტემა, არ არის დამონტაჟებული ჰაერის დეტექტორები. **სკოლამ ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, თუმცა წარმოადგინა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისები სააგენტოსთან, გაგზავნილი განცხადება სახანძრო ტექნიკური შემოწმების ჩატარების მოთხოვნასთან დაკავშირებით.**
ინდიკატორი (3.4.1.1.) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება"

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლამ წარმოადგინა ასევე სსიპ - ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 13. 03.2025 N 01-03/07 ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი", რომლითაც დარეგულირებულია სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესი და პროცედურები.
წესის შესაბამისად პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა არსებული ნორმატიული აქტი და შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციები. კაბინეტი უზრუნველყოფილია

ბუნებრივი და ხელოვნური განათებით რომელიც ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცე, მაცივარი, კარადები რომლებშიც განთავსებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ. სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი და ექთანი.

ინდიკატორის (3.4.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ - ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის მიზნით ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების თანახმად. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წელიწადში ორჯერ იკრიბება, აფასებს არსებულ გარემოს და ადგენს რეკომენდაციებს უსაფრთხოებისა და მოწესრიგებული სასკოლო გარემოს შესანარჩუნებლად.

დირექტორის ბრძანებით, სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც მანდატურებთან (რომლებიც ორნი არიან), ისე სკოლის დირექციასთან და პედაგოგიურ კოლექტივთან. მათი ერთობლივი საქმიანობა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის პერიოდში წესრიგის და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას.

სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი („112“), განათლების სამინისტროსა და მანდატურის სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სკოლის მზაობას, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს.

მოსწავლეების ინფორმირებულობა ქცევის წესებისა და უფლებების შესახებ სისტემურად ხორციელდება კლასის საათებზე, სადაც ხელმძღვანელი მასწავლებლები მათ აცნობენ არსებულ წესებსა და მოლოდინებს.

ზემოაღნიშნული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სკოლა ცდილობს უსაფრთხოება და წესრიგი განიხილოს როგორც ერთიანი კულტურა, რომელშიც ჩართულია სკოლის ყველა რგოლი. **თუმცა სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს მრჩეველთა საბჭოს მუშაობის შედეგების დეტალური დოკუმენტირება, რათა პროცესები გახდეს მეტად გამჭვირვალე და მონიტორინგისთვის ხელმისაწვდომი. ასევე, სასურველია მოსწავლეთა ინფორმირებულობის დაფიქსირება დოკუმენტურად — მაგალითად, ხელმოწერით ან ელექტრონული აღრიცხვით, რაც გაამყარებს პროცედურების ფორმალურ საფუძველს.**

ინდიკატორის (3.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. მათი განმარტებით მოსწავლეები თავად ქმნიან ქცევის წესებს, რომლებიც შეესაბამება საყოველთაოდ დადგენილ ნორმებსა და სკოლის შინაგანაწესს. სკოლის ინფრასტრუქტურა, კერძოდ, გამწვანებული ეზო და ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, კორიდორები, ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციის პროცესს და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ქმნის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ – ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების ცენტრი, რომლის მიზანია სსსმ მოსწავლეთა ინტეგრაციის, სოციალიზაციისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა, ასევე მათი პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

ცენტრი ემსახურება 36 სსსმ მოსწავლეს (მათ შორის უმეტესი სკოლის მოსწავლეა) და უზრუნველყოფს მათ აკადემიური მხარდაჭერით, უსაფრთხო და ადაპტირებული გარემოთი, კვებითა და ტრანსპორტით. სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და რესურსებით.

სასკოლო დღის შემდეგ ბავშვები ერთვებიან არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში, როგორებიცაა კერამიკა, ქსოვილი, სახვითი ხელოვნება, მუსიკა, ინკლუზიური თეატრი და საკვირაო სკოლა უსინათლო მოსწავლეებისთვის. თითოეული მიმართულება მორგებულია ბავშვების უნარებსა და საჭიროებებზე.

ცენტრი ასევე მართავს მასტერკლასებსა და გამოფენებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითრეალიზაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას - სკოლა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ხარისხიან ინკლუზიურ განათლებას, არამედ ქმნის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს განვითარების რეალური შესაძლებლობა.

ინდიკატორის (3.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლის დირექტორის განმარტებისა და საშტატო განრიგის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია ორი დამლაგებელი, რომელთა პასუხისმგებლობა მოიცავს როგორც დაწესებულების შიდა სივრცეების, ასევე გარე პერიმეტრის რეგულარულ მოწესრიგებასა და დასუფთავებას. მათი პასუხისმგებლობა მოიცავს სასწავლო ინვენტარის (მერხები, მაგიდები, თაროები, კომპიუტერები და სხვ.) სპეციალური საწმენდი საშუალებებით გაწმენდას, კარადებისა და სათავსოების მოწესრიგებას, უჯრებისა და იატაკის ყოველდღიურ სველი წესით დამუშავებას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სანიტარული კვანძების (ტუალეტები, უნიტაზები, ნიჟარები) სისუფთავეს, რაც ექვემდებარება სკოლის ექთნის ყოველდღიურ მონიტორინგს. დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარი არის სათანადოდ მარკირებული და ინახება სპეციალურად გამოყოფილ, ცალკე სათავსოში. საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები ინახება ჩაკეტილ, უსაფრთხო ადგილას.

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სველი წერტილები სრულად უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, მათ შორის — ტუალეტის ქაღალდით, თხევადი საპონით და ნარჩენების კალათებით. როგორც აღინიშნა, ინვენტარის შენახვის, გამოყენებისა და განლაგების პროცედურები უზრუნველყოფილია შესაბამისი ლოჯისტიკური პირობებით (დამხმარე სათავსოები, მარკირებული ინვენტარი და სხვ.).

თუმცა ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ სკოლას არ აქვ გაწერილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავს ჰიგიენის უზრუნველყოფის სტანდარტებს, პროცედურებს, პასუხისმგებელ პირებსა და მონიტორინგის მექანიზმებს.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშავოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს როგორც ყოველდღიური და პერიოდული დასუფთავების წესებს, ასევე მონიტორინგისა და პასუხისმგებლობათა განაწილების მკაფიო სტრუქტურას. დოკუმენტის არსებობა გაუმჯობესებს პროცესების სტანდარტიზაციას, უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობს ჰიგიენური სტანდარტების დაცვას სასკოლო სივრცეში.

ინდიკატორის (3.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, საქმეთამმართველი. მას ხელშეკრულებით ევალება სამსახურეობრივი მოვალეობის შედეგად მიღებული მოსწავლეების და თანამშრომელთა პერსონალური ინფორმაციის დაცვა. სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 მარტი N 01-03/17 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ ბათუმის N 26 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.

ინდიკატორის (3.4.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

დირექტორის განმარტებით, სკოლა ინტერნეტის გამოყენების მიზნით სარგებლობს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული ქსელით, ხოლო ყველა პროგრამული უზრუნველყოფა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა გააჩნიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და ფინანსური დოკუმენტაციის უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობის დაცვას.

ინდიკატორის (3.4.1.7) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის დანერგილია გარკვეული მექანიზმები, რომელთა ეფექტიანობას მართავს სკოლის დირექცია. სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ ანალიზს, ადამიანური რესურსის უსაფრთხოების მიზნით ფუნქციონირებს მანდატური, კარისკაცის პოზიცია და მორიგეობის ცხრილი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის სივრცის მონიტორინგს ლოკაციების მიხედვით, ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც ორიენტირებულია უსაფრთხოების მართვის სისტემურ გაუმჯობესებაზე. მრჩეველთა საბჭოში ჩართულია სკოლის ძირითადი გადაწყვეტილების მიმღები რგოლები, რაც ხელს უწყობს მრავალმხრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებას, ხოლო მორიგეობის ცხრილი ამცირებს ინციდენტების რისკს და ზრდის კონტროლის ხარისხს. რამდენადაც სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, ექსპერტთა მიერ გაიცა **რჩევა: სასურველია: სკოლაში შეიქმნას უსაფრთხოების შეფასების მეთოდოლოგია და დაინერგოს უსაფრთხოების ინციდენტების რეგისტრაციის და ანალიზის ჟურნალი**, **რაც დაეხმარება სკოლას პრევენციული ღონისძიებების სწორად დაგეგმვაში. ეს ქმედებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც პროცესის გამჭვირვალობას, ისე უსაფრთხოების მექანიზმების ანგარიშვალდებულებას.**

ინდიკატორის (3.4.1.8) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება და წესი;
- ექიმის და ექთნის ხელშეკრულება;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N 26 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვული ბიუროს დასკვნა N 002728425 01/05/2025. დასკვნა;
- დირექტორის, 2025 წლის ბრძანებით ბრძანებით N 01-03/12 დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ ბათუმის N 26 საჯარო სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N 26 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან N 05.32.10.617 და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დასტურდება, რომ სსიპ – ქალაქ ბათუმის №26 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ ბათუმში, კახაბერის ქ. №1-ში (შენობა-ნაგებობების საერთო ფართით - 4081. 10 კვ.მ.). სკოლის შენობა სამსართულიანია, ერთმანეთთან დაკავშირებული ბლოკებით და ფუნქციონირებს ერთცვლიან რეჟიმში. სკოლა ფუნქციონირებს 1987 წლიდან. მისი ინფრასტრუქტურა ეტაპობრივად განიცდიდა განახლებასა და მოდერნიზაციას, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სასწავლო გარემოს ხარისხიან ფუნქციონირებას. სკოლაში განხორციელდა სპორტული დარბაზის სრული რეაბილიტაცია, რაც სპორტული და ფიზიკური განვითარების ხელშემწყობ აქტივობებს მნიშვნელოვნად აძლიერებს; ნაწილობრივ განახლდა მეორე და მესამე სართული, რაც სწავლისთვის კომფორტული სივრცის შექმნას ემსახურება; შეიცვალა შენობის სახურავი, რაც საწყის ეტაპზე პრობლემების პრევენციისა და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას ითვალისწინებს; განახლდა სანიტარული ჰიგიენური სივრცეები – მოხდა საპირფარეშოების სრული დემონტაჟი-მონტაჟი; განხორციელდა სკოლის ეზოს, ფასადის და პირველი სართულის სრული რეაბილიტაცია. აღნიშნული სართული უკავშირდება ინკლუზიური სწავლების ცენტრის ფუნქციონირებას და სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებისთვის.

სსიპ – ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მრავალმხრივ სასწავლო პროცესს თანამედროვე ტექნიკური ბაზით, რაც ხელს უწყობს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ განათლებას და მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ სწავლა-სწავლების პროცესს. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მოიცავს:

- კომპიუტერულ ლაბორატორიას (21 პერსონალური კომპიუტერი და 20 ნოუთბუქი), რაც ციფრულ კომპეტენციებზე ორიენტირებულ სწავლებას საფუძვლიანად უზრუნველყოფს;
- 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას;
- რესურსოთახს და ბიბლიოთეკას, რაც დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებთან წვდომას აძლიერებს;
- სპორტულ დარბაზს, დიდ სპორტულ მოედანსა და ხელოვნების კაბინეტებს, რომლებიც სრულფასოვნად უზრუნველყოფენ ფიზიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას;
- სამედიცინო და მედდის კაბინეტს, რაც ჯანმრთელობის მონიტორინგსა და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას ემსახურება;
- ფსიქოლოგისა და მეტყველების თერაპევტის სამუშაო სივრცეებს, რომლებიც აუცილებელია მოსწავლეთა ემოციური კეთილდღეობის მხარდასაჭერად;
- პერსონალის სათათბირო ოთახს, რაც თანამშრომლობისა და პროფესიული კონსულტაციების განხორციელების საფუძველია;
- ადაპტირებულ სველ წერტილებსა და სპეციალურად მოწყობილ სასადილო სივრცეს სსსმ და შშმ მოსწავლეთათვის, რაც მათ საჭიროებებს სრულად ითვალისწინებს;
- კვების ობიექტს (ბუფეტს), მანდატურის კაბინეტსა და დარაჯის ოთახს, რაც სკოლაში უსაფრთხოებისა და ადმინისტრაციული მენეჯმენტის ეფექტიანობას უზრუნველყოფს;
- 23 საკლასო ოთახს;
- მანდატურის ოთახს.

სკოლის ინფრასტრუქტურა გათვლილია ერთცვლიან რეჟიმში 750 მოსწავლეზე. თუმცა, არსებული სივრცე და რესურსები საჭიროების შემთხვევაში იძლევა ორცვლიან რეჟიმზე გადასვლის შესაძლებლობას. აღნიშნული პოტენციალი სკოლას საშუალებას აძლევს მოქნილად უპასუხოს მოსწავლეთა რაოდენობის მატებას და ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო ხელმისაწვდომობას.

2025 წლის მდგომარეობით, სკოლაში სწავლობს 652 მოსწავლე, მათ შორის 74 სპეციალური საგანმანათლებლო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინკლუზიური სწავლების ცენტრი, რომელიც ფუნქციონირებს პირველ სართულზე და სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ მოსწავლეთა საჭიროებებზე. ცენტრი უზრუნველყოფს როგორც აკადემიურ მხარდაჭერას, ისე ფსიქო-სოციალური და პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა ინკლუზიურ განვითარებას და სკოლაში თანასწორი საგანმანათლებლო გარემოს ფორმირებას.

ინდიკატორის (3.5.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სსიპ – ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლის რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 13 მარტის N 01-03/08 ბრძანებით, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიან, სამართლიან და უსაფრთხო გამოყენებას. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი რესურსების ტიპები, გამოყენების პირობები და პასუხისმგებლობათა განაწილება, რაც აძლიერებს მენეჯმენტის გამჭვირვალობას.

განსაზღვრულია ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ლაბორატორიისა და ინტერნეტის გამოყენების წესები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ და ციფრულ განვითარებას. გაწერილია ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების განაწილების განრიგი.

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სამუშაო დღეებისა და საათების განმავლობაში. დირექციასთან შეთანხმებით შესაძლებელია არასასწავლო პერიოდშიც. დასვენებისა და მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის.

ინდიკატორის (3.5.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკა, 33910 წიგნადი ფონდით, განთავსებულია შენობის პირველ სართულზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს როგორც მხატვრულ, ასევე მეთოდურ და სასკოლო სახელმძღვანელოებს. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკრი, შემუშავებულია სკოლის ბიბლიოთეკარის მუშაობისს წესი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელშიც დაკონკრეტებულია ბიბლიოთეკის ფონდის მოხმარების ძირითადი წესები, და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღწერილია საინვენტარო წიგნში.

ინდიკატორის (3.5.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეების საჭიროებებს და შეესაბამება ინკლუზიური განათლების პრინციპებს. შენობაში უზრუნველყოფილია ფიზიკური ხელმისაწვდომობა: სკოლის მთავარ და გვერდით შესასვლელებთან მოწყობილია ადაპტირებული პანდუსები, ფუნქციონირებს ლიფტი, ადაპტირებულია სველი წერტილები. აღნიშნული ელემენტების არსებობა მოწმობს, რომ სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა სრულფასოვნად უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნასა და სსსმ მოსწავლეთა უსაფრთხო და დამოუკიდებელ მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორის (3.5.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა (იხ 3.5.1.1) ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციო-კულტურულ განვითარებას და სწავლა-სწავლების პროცესის მრავალმხრივ გამდიდრებას. სკოლის შენობას აქვს ფართო, ნათელი დერეფნები და საკლასო ოთახები, რაც ქმნის კომფორტულ და ფსიქოლოგიურად ხელსაყრელ გარემოს. აქვს კეთილმოწყობილი, გამწვანებული ეზო და დიდი სპორტული მოედანი.

საკლასო სივრცეები სრულად აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდებით, კარადებით და სხვა საჭირო ინვენტარით. მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სასკოლო სახელმძღვანელოებითა და დამატებითი რესურსებით, მათ შორის რუკებითა და ვიზუალური თვალსაჩინოებებით, რაც ხელს უწყობს საგნობრივი მასალის ეფექტიან ათვისებას.

სკოლა აქტიურად იყენებს საკუთარ რესურსებს მოსწავლეთა სოციო-კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობების განსახორციელებლად. პედაგოგები გეგმავენ და ახორციელებენ თემატურ პროექტებს, სასწავლო-სააღმზრდელო ღონისძიებებსა და არაფორმალურ აქტივობებს, რაც აძლიერებს თანამშრომლობას, მეგობრულ გარემოს და მხარს უჭერს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას.

აღნიშნული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის უსაფრთხო, მეგობრულ და მხარდაჭერაზე ორიენტირებულ გარემოს, რაც წარმოადგენს ინკლუზიური და მოსწავლის კეთილდღეობაზე მიმართული საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთ არსებით კომპონენტს.

ინდიკატორის (3.5.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- წიგნადი ფონდის საინვენტარიზაციო უწყისი;
- სკოლის მატერიალური რესურსის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- მიღება ჩაბარების აქტები
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ფაქტობრივი მდგომარეობის და ინვენტარიზაციის დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა აღჭურვილია საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელებას.
სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერები და ლეპტოპები განთავსებულია შემდეგ სივრცეებში:

- კომპიუტერულ ლაბორატორიებში – 25 ერთეული;
- ბიბლიოთეკაში, დირექტორის კაბინეტში;
- საქმისმწარმოებლის ოთახში და სამასწავლებლოში;
- დამატებით, სკოლას აქვს ახლად შეძენილი 64 ერთეული ლეპტოპი და 3 პროექტორი.

ადმინისტრაციული და რესურსოთახები აღჭურვილია შავთეთრი პრინტერებით, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ვიზუალური მასალის (თვალსაჩინოებები, საინფორმაციო ბუკლეტები, პოსტერები და სხვ.) დასამზადებლად.
სკოლა უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით, თუმცა არსებული ინტერნეტის სიჩქარე შედარებით დაბალია, რაც გარკვეულწილად ზღუდავს ციფრული რესურსების სრულფასოვან გამოყენებას სასწავლო პროცესში.
ინდიკატორის (3.6.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ**

სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას, მათ შორის მიზნობრივი საგანმანათლებლო აქტივობების ფარგლებში.მოსწავლეებისთვის განკუთვნილ

სივრცეებში ტექნიკის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელნი არიან ტექნოლოგიების მასწავლებელი და ის პედაგოგები, რომლებიც კონკრეტულ დროს მუშაობენ მოსწავლეებთან საერთო სამუშაო სივრცეში.

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე სკოლის პერსონალისთვის. თუმცა, სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი დოკუმენტურად დაფიქსირებული წესი/წესდება აღნიშნული რესურსების გამოყენების თაობაზე, რის საფუძველზეც სკოლას მიეცა შესაბამისი **რჩევა – შეიმუშაოს ციფრული რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების წესი, რომელიც დაარეგულირებს ტექნოლოგიებზე წვდომის და გამოყენების პროცესს.**

ინდიკატორის (3.6.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინვენტარიზაციის აქტი;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- მიღება-ჩაბარების აქტები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის მიერ შემუშავებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტის მიხედვით, მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტების მოძრაობა — მიღებიდან ან შექმნიდან, შესრულებისა და გაგზავნის ჩათვლით, მათი საქმისადმი მიმაგრებამდე — წარმოადგენს სკოლის დოკუმენტბრუნვას.

საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია სკოლის კანცელარიის თანამშრომელი. დოკუმენტბრუნვა მოიცავს შემდეგ ნაკადებს:

ა) შემოსული დოკუმენტაცია;

ბ) შიდა დოკუმენტაცია;

გ) გასული დოკუმენტაცია;

დ) ბრძანებები.

დოკუმენტების მიღებას ახორციელებს კანცელარია, ხოლო დამუშავება და შესაბამისი შემსრულებლისთვის გადაცემა ხდება მიღების დღეს ან მომდევნო სამუშაო დღეს იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი შემოვიდა არამუშაობის დროს. საქმისწარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.

ინდიკატორის (3.6.2.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის საშუალებით — „eflow" ის პროგრამის გამოყენებით. სკოლა სარგებლობს ასევე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებულ ერთიანი პლატფორმით — **eSchool.emis.ge**, სადაც შეყვანილია სკოლის ძირითადი მონაცემები.

გარდა ამისა, კორესპონდენციის მისაღებად და ინფორმაციის გაცვლის მიზნით, სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას: batumi26@mes.gov.ge.

ინდიკატორის (3.6.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) სკოლას გააჩნია სრულყოფილი პროფილი, რომელშიც ასახულია სკოლის იურიდიული და ადმინისტრაციული მონაცემები, მოსწავლეთა და პერსონალის ინფორმაცია, კლასების სტრუქტურა, სასწავლო გეგმა და სხვა მნიშვნელოვანი პროცესები.

ინდიკატორის (3.6.2.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად და დაუყონებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, თანამშრომლობს მათთან და ამისთვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს, დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორის (3.6.2.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
- რეგისტრაციის ჟურნალები;
- საქმისწარმოების ინსტრუქცია;
- გამოცემული აქტები;
- გასული და შემოსული კორესპონდენციები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს:

- სოციალური ქსელის (Facebook) სკოლის ოფიციალურ გვერდს;
- Microsoft Teams-ს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის საკითხების გასაზიარებლად;
- ვებგვერდს, რაც უზრუნველყოფს მშობლებისთვის და თემისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

ინდიკატორის (3.6.3.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული საგანმანათლებლო პროექტების, ღონისძიებების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადებისა და სხვა აქტივობების შესახებ. ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის საქმისმწარმოებელს.
სოციალურ ქსელებში შექმნილია თემატური ჯგუფები — მათ შორის კლასების, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის, რაც ხელს უწყობს კონკრეტულ ჯგუფებთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფას. ჯგუფების მეშვეობით მონაწილე პირებს მიეწოდებათ სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

აკადემიური მოსწრების მონაცემები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამისი მასწავლებლებისა და მოსწავლეების მშობლებისთვის. ინფორმაციის გაცვლა და მიმოცვლა, ასევე, ხდება სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

შესაბამისია ინდიკატორთან

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ მედიასა და ელექტრონულ ფოსტას როგორც ინფორმაციის გავრცელების, ასევე უკუკავშირის მიღების საშუალებად. მიღებული მოსაზრებები და რეკომენდაციები რეგულარულად განიხილება და გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

ამასთან დაკავშირებით, სკოლას მიეცა შემდეგი რჩევა: სასურველია, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების პრაქტიკა დოკუმენტურად აღირიცხოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს როგორც მიღებული ინფორმაციის ანალიზის, ასევე მასზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა. მნიშვნელოვანია ასევე განისაზღვროს, როგორ გამოიყენება ეს ინფორმაცია სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს იმ მექანიზმების გამოკვეთას, რომლითაც სკოლა რეაგირებს საზოგადოებისგან მიღებულ მოსაზრებებზე.

ინდიკატორის (3.6.3.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი Admin School Web Portal, სადაც სკოლის შესახებ საჯარო ინფორმაცია არის განთავსებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის (3.6.3.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდი https://skolebi.emis.ge/ შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ, მათ შორის: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნები და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის შესახებ ინფორმაცია, ასევე ამონარიდი შინაგანაწესიდან (მუხლი 16 – მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები).

დასკვნის პროექტის ფარგლებში, **ინდიკატორი 3.6.3.5** თავდაპირველად შეფასდა როგორც **„არ შეესაბამება"**, ვინაიდან სკოლის ვებგვერდზე არ იყო განთავსებული ინდიკატორით მოთხოვნილი სრული ინფორმაცია, მათ შორის:

- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელებები;
- პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები;
- მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისები;
- გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმები;
- ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ **სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით** აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა განსაზღვრული იყო **2025 წლის 4 აგვისტომდე**.

ექსპერტთა მიერ შემდგომი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ვებგვერდზე სრულად არის ასახული ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია. შესაბამისად ხარვეზი გამოსწორებულია და საბოლოო დასკვნაში **ინდიკატორი 3.6.3.5 შეფასებულია როგორც „შესაბამისი".**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვებგვერდის https://skolebi.emis.ge/ დათვალიერების შედეგები;
- სოციალური ქსელის (Facebook) სკოლის ოფიციალურ გვერდის დათვალიერების შედეგები;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა **batumi26@mes.gov.ge;**
- ელექტრონული სისტემა — „eflow";
- **eSchool.emis.ge**;

- **სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.**

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერ არის დამტკიცებული. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება საქართველოს კანონით ბიუჯეტის შესახებ. სკოლის ფინანსური რესურსები ხელს უწყობს სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ინდიკატორის (3.7.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ) სისტემა. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტის კორექტირებისთვის სკოლა მიმართავს სამეურვეო საბჭოს. სკოლისათვის საჭირო შესყიდვები ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ყავს შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. ყოველი წლის 10 დეკემბერს ხდება წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორის (3.7.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლა უქმნის ყველა მოსწავლეს პირობებს, რომ მათი უფლებები იყოს დაცული, განსხვავებული შესაძლებლობებისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებების დაცვასა და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლის უფლებები კანონით არის დაცული, მათ აქვთ გასაჩივრების უფლება, მონაწილეობენ სკოლის მართვაში, შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები, მოსწავლეებსა და მშობლებს ამის შესახებ მიეწოდებათ ინფორმაცია დამრიგებლების საშუალებით. შინაგანაწესი ჩადებულია საქაღალდეში და განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. თუმცა, სკოლა აღნიშნავს, რომ შინაგანაწესი მეტწილად შაბლონურია და მომავალ სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო საზოგადოება უფრო ფართო მასშტაბით ჩართონ მისი შემუშავების პროცესში.

ამისათვის გეგმავენ შეხვედრებს თვითმართველობასთან, ასევე სკოლის მშობლებთან და სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან. შეხვედრების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული კითხვარებით, ფოკუსჯგუფებით, ინტერვიუებით მოიკვლევენ მოსწავლეთა და მშობელთა შეხედულებებს, რის შემდეგაც, როგორც აღნიშნავენ, მიიღებენ საბოლოო დოკუმენტს, რომელიც ყველა მხარის ინტერესებს ასახავს. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა კანონდებლობის შესაბამისად. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით. თითოეულ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობას მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი თუ ვის და როგორ შეუძლია შემოიტანის განაცხადი/საჩივარი, რომელი სტრუქტურული ერთეულია უფლებამოსილი განიხილოს განცხადება/საჩივარი და რა ვადებია ამისათვის განსაზღვრული. მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებულია ხელშეკრულებები, მათთან ცალკე გაფორმებულია პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არის დაცული.

ინდიკატორის (4.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტი შინაგანაწესის გაცნობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს. აღნიშნულ შინაგანაწესს იცნობს სკოლის ყველა თანამშრომელი. კანონით გათვალისწინებული უფლებების დამდგენი დოკუმენტები, როგორიც არის მოსწავლეთა ქცევის კოდექსი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ასევე სადამრიგებლო პროგრამაში არის ვალდებულება აღნიშნული დოკუმენტი გააცნოს სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე, როგორც მოსწავლეს, ასევე მშობელს. ასევე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბავშვთა უფლებების კოდექსი. 2024-2025 სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას, ასევე, გაწერილი აქვს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაციები, კერძოდ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრების განსაზღვრა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ვადები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება.

ინდიკატორის (4.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ასევე, ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. მშობლებთან გაფორმებულ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის ფორმაში მოცემულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის (4.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი;
- საჩივრის განხილვის წესი;
- დამრიგებლის თვითშეფასების კითხვარი;
- მშობლების კრების ოქმები;
- ისგ ჯგუფის ბრძანებები;
- თანხმობის ფორმა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თანხმობაზე.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ და 2012 წლის 19 სექტემბრის 193/ნ ბრძანებების შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის,

სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. ამ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, განათლების აღიარების, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. ბრძანებაში ასევე არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების თუ შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით. შესაბამისად. მშობლების ინფორმირებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია, TEAMS-ის პლატფორმა, ელ-ჟურნალი. მშობლებთან მათი შვილის მოსწრებისა და პიროვნული თვისებების განხილვა ხდება ინდივიდუალურად. სკოლაში ბრძანებით შექმნილია ისგ ჯგუფები; პერიოდულად ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხილვა და შეფასება; მიღებული დასკვნების მიხედვით ხდება ცვლილებები, შესაძლოა დადგეს მოსწავლის სტატუსის შეცვლის საკითხიც, რომელიც ხორციელდება ფსიქოსოციალური გუნდის დასკვნის საფუძველზე. დოკუმენტები ინახება როგორც სპეციალურ მასწავლებელთან, ასევე მოსწავლის პირად საქმეში.

ინდიკატორის (4.1.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რომელიც დადგენილია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“-თ, სასკოლო სასწავლო გეგმით და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების დაცვის გზით ხდება მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილი ვადების შესახებ ხდება მშობლის მუდმივი ინფორმირება სატელეფონო საუბრების და პირადი შეხვედრების ფორმატში. ხდება გაცდენების მუდმივი მონიტორინგი, რაც ასევე შესაძლოა გახდეს მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველი. საჭიროების შემთხვევაში ხდება სოციალური მუშაკის ინფორმირება და ჩართვა და ამ გზებით ოჯახთან დაკავშირება.

ინდიკატორის (4.1.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გაზიარებულია ვებ გვერდზე, სკოლის სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდზე, სადაც მშობლებს შეუძლიათ გაიგონ სიახლეები, გააკეთონ კომენტარები და გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას მათი პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების შესახებ. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბის სახით, სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი. ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დაფინანსებით და მხარდაჭერით, სკოლასთან არსებობს ინკლუზიური განათლების ცენტრი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო, თანამედროვე ინვენტარით.

ინდიკატორის (4.1.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა აქტიურად მუშაობს Facebook გვერდზე და ავრცელებს სიახლეებსა და მიმდინარე ღონისძიებებს, მშობლებთან ურთიერთობს ასევე დამრიგებლების მეშვეობით, ინფორმაციის გავრცელების წყაროდ ასევე გამოყენებულია საინფორმაციო დაფა, გავრცელებული ინფორმაციები კი არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული, რასაც ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტები, ფოტოები, ვიდეოები, სადაც იკვეთება, რომ სკოლა ყველა მოსწავლისთვის ხდის მისაწვდომს არსებულ პროგრამებს, სერვისებს, აქტივობებსა და რესურსებს. სკოლა მოსწავლეების მონაწილეობით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებამდე მშობლებისგან იღებს წერილობით ნებართვას, ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას.

ინდიკატორის (4.1.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პერსონალის ადაპტაციის წესი;
- საინფორმაციო დაფა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2.მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, კერძოდ, შექმნილია დოკუმენტი-„მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენისა და მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები, სადაც გაწერილია პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, პირველი კლასის გარდა სხვა კლასში გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციის პირობები. წესი, ასევე, განსაზღვრავს სადამრიგებლო პროგრამაში განსახორციელებელ აქტივობებს, რომლებიც უნდა განახორციელოს დამრიგებელმა, რათა მოსწავლეს არ გაუჭირდეს სასკოლო გარემოში ადაპტაცია.

მშობლების ინფორმირებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია, TEAMs-ის პლატფორმა, ელ-ჟურნალი. მშობლებთან მათი შვილის მოსწრებისა და პიროვნული თვისებების განხილვა ხდება ინდივიდუალურად. სკოლაში ბრძანებით შექმნილია ისგ ჯგუფები; პერიოდულად ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხილვა და შეფასება; მიღებული დასკვნების მიხედვით ხდება ცვლილებები, შესაძლოა დადგეს მოსწავლის სტატუსის შეცვლის საკითხიც, რომელიც ხორციელდება ფსიქოსოციალური გუნდის დასკვნის საფუძველზე. დოკუმენტები ინახება როგორც სპეციალურ მასწავლებელთან, ასევე მოსწავლის პირად საქმეში.

ინდიკატორის (4.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს, რათა მოხდეს მოსწავლეთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. ამ მიზნით ეწყობა პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეთათვის ღონისძიება, მათთვის სკოლის გაცნობა. სკოლის დირექტორის განმარტებით, ბავშვის ცხოვრებაში პირველი სასწავლო წელი არის ძალიან რთული და კრიტიკული პერიოდი, სწორედ ამიტომ სკოლა ინდივიდუალური მიდგომებით ცდილობს პროცესების ეფექტურად წარმართვას, გამოყოფენ რამდენიმე ფაქტორს: ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ხასიათი, ტემპერამენტი, უფროსი და-ძმის გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ვინაიდან მთავარი როლი ბავშვისთვის სწავლის შეყვარების პროცესში მასწავლებელთან ერთად მშობელსაც აკისრია, სკოლა აღნიშნულ პროცესში აქტიურად რთავს მშობლებსაც, რაც საშუალებას აძლევს ადაპტაციის პროცესი მართონ სწორად, მინიმუმადე დაიყვანონ ის სირთულეები რომელიც თან სდევს ადაპტაციის პროცესს. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და მათ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება.

ინდიკატორის (4.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. სკოლა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის იყენებს საკონსულტაციო სისტემას - მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობით - რემედიაციით, დიაგნოსტიკური წერებით. წლის ბოლოს წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოება სიგელებით, რაც მათ მოტივაციას ამაღლებს შემდგომი წლისათვის. მუდმივად ხდება მოსწავლეთა ინფორმირება მათ აკადემიური მიღწევების შესახებ, ასევე იმ საშუალებების შესახებ, თუ, როგორ შეიძლება მათი შედეგებში გაუმჯობესება. მოსწავლეებს ხშირად საკუთარი ფსიქო - ემოციური მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას იზრუნონ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და სკოლაში ითხოვენ ფსიქოლოგის მომსახურებას. შესაბამისად, სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელსაც გააჩნია თავისი კაბინეტი - სრულიად აღჭურვილი, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარ მდგომარეობაზე გახსნილად ისაუბრონ და დაძლიონ ამა თუ იმ სახის პრობლემები. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის განმარტებით, სკოლაში ტარდება მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ხელშემწყობი სხვადასხვა სემინარები და ტრენინგები, რომელიც ინტერესების სფეროს მიხედვით ეხმარება მოსწავლეებს. ამ მხრივ დიდია თვითმმართველობის როლი, რომელიც არის ხშირ შემთხვევაში ასეთი აქტივობების ინიციატორი. ასევე, მასწავლებლები კომპლექსური დავალებებითა და სასწავლო პროექტებით, დამატებითი მეცადინეობებით ცდილობენ მოსწავლეებს გაუწიონ სათანადო დახმარება აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. კათედრები მუდმივად აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და გეგმავენ შესაბამის ინტერვენციებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად.

ინდიკატორის (4.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები, რათა უზრუნველყოს მოსწავლეების უფლებების დროული და ეფექტური დაცვა. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, გაცდენების შემთხვევაში, ექსტერნის გამოცდის დანიშვნის და შინ სწავლების უფლების შესაძლებლობის შესახებ, კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების და ვადების შესახებ ხდება მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის დროული ინფორმირება სატელეფონო საუბრების, TEAMs-ის პლატფორმის, სოციალურ გვერდზე შექმნილი ჯგუფების და პირადი შეხვედრების ფორმატში. ინფორმაციის გავრცელების წყაროდ ასევე გამოყენებულია საინფორმაციო დაფა. სკოლა ცდილობს გამოხატოს მხარდაჭერა ინიცირებული აქტობების განხორციელებისთვის. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ოლიმპიადებსა და კონკურსების შესახებ.

ინდიკატორის (4.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ მოსწავლისთვის ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, ამისათვის სკოლამ ხელშეკრულებით აიყვანა არაფორმალური განთლების ხელშეწყობის კოორდინატორი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს კარიერულ წინსვლასა და ინტერესების უკეთ წარმოჩენაში, ამ მიზნით, სკოლის მიერ მოსწავლეთა გამოკითხვის გზით გამოვლენილი ინტერესების გათვალისწინებით, ხორციელდება აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას. სკოლა ახორციელებს შემდეგი ტიპის აქტივობებს:

- კლუბები, წრეების (სახელოვნებო, სპორტული, შემოქმედებითი) მუშაობა, სადაც მოსწავლეები გაერთიანებულების არიან ინტერესის სფეროების მიხედვით.
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დაგეგმილი ერთობლივი აქტივობები. მაგალითად, სკოლა თანამშრომლობს „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლთან", რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებთან ტარდება შეხვედრები.
- სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროგრამებსა და პროექტებში ჩართულობა. ერთ-ერთი მიმდინარე პროექტია და სკოლა უკვე 2 წელია აქტიურად თანამშრომლობს ბათუმის ტექნო პარკთან. მოსწავლეებს უტარდებათ ტრენინგები და ჩართულები არიან საინტერესო აქტივობებში, რომლებსაც აღნიშნული პროექტი სთავაზობს.

გარდა ამისა, სკოლა თანამშრომლობს ბათუმის ამერიკულ კუთხესთან, მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა ტიპის მინი პროექტებში, მაგალითად: მოხალისეობრივი პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ატარებენ სახალისო სემინარებს. სკოლა ასევე ჩართულია საერთაშორისო პროექტში, რომელსაც ახორციელებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ციფრული ინოვაციების დანერგვა სკოლებში რეგიონული ინოვაციური ჰაბებისა და მენტორინგის მოდელის საშუალებით" და რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს პერსონალის გადამზადება ციფრული კომპეტენციების მიმართულებით.

ინდიკატორის (4.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლაში გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები: სოციალური ქსელები, პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია, ინდივიდუალური შეხვედრები, შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა აზრებს და ცდილობს გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. მშობელთა კრებებზეც მშობლებს აქვთ შესაძლებლობა თავად დაგეგმონ მათი შვილებისთვის საინტერესო ინიციატივები.

ინდიკატორის (4.2.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის ადაპტაციის წესი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ისგ გეგმები;
- ისგ ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლა, სკოლა ხელს უწყობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა თუ პროფესიულ სასწავლებელს, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში, გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის; დროულად აწვდის მოსწავლეებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, სიახლეებს; დამრიგებლები ატარებენ კლას საათებს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად, განსაკუთრებით დამამთავრებელ (მეცხრე და მეთორმეტე) კლასებში; სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტთან.

სხვადასხვა პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით, მოსწავლეებისთვის ატარებენ შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც იწვევენ სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც არინ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები. ისინი ესაუბრებიან მოსწავლეებს თავიანთ პროფესიებზე. მოსწავლეებს კითხვების საშუალებით შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ ამ პროფესიების პრაქტიკულ მხარეზე. სამომავლოდ სკოლას სურს დანერგოს კარიერული ორიენტაციისთვის კონსულტაციების გაწევა სკოლაში. ამისთვის სურთ გადაამზადონ სკოლის თანამშრომელი, რომელიც ამ საკითხებზე იმუშავებს მოსწავლეებთან. ასევე, სკოლას სურს შეიმუშაოს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა სსსმ მოსწავლეებისთვის, მათი სკოლიდან უმაღლეს/პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვისთვის.

ინდიკატორის (4.2.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა სკოლა კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, პერიოდულად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს. მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდება კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მეშვეობით, ხოლო მშობლებს ინფორმაცია მიეწოდება მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალურ შეხვედრებზე. პროფორიენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა და უნარები, რომელიც სჭირდება წარმატებული არჩევანის გასაკეთებლად. სკოლა გეგმავს იმუშაოს მოსწავლეთა სკოლის შემდგომ ტრანზიციის გეგმებზე, რითაც დაეხმარება მოსწავლეებს დაძლიონ ის ფსიქო ემოციური ბარიერები, რაც ახალი გარემო მოხვედრას შეიძლება თან სდევდეს.

ინდიკატორის (4.2.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა მზად არის მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, განახორციელოს კარიერული განვითარების შესაძლებლობების გადახედვა, გადახედოს საკუთარ

კარიერული განვითარების მომსახურების პრაქტიკას და მომავალი სასწავლო წლისთვის გააფორმოს მემორანდუმი მეტ დაწესებულებასთან.

ინდიკატორის (4.2.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული ორიენტაციის დაგეგმა;
- პროფესიული ორიენტაციის წესი;
- მემორანდუმები საგანამანთლებლო დაწესებულებასთან (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი);
- მშობელთა კრების ოქმი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას სკოლაში შექმნილია სსსმ და შშმ მქონე მოსწავლეთა ადაპტირებისათვის შესაფერისი გარემო. კერძოდ, მათვის გადაადგილება ხელმისაწვდომია პანდუსის და ლიფტის მეშვეობით; სკოლის მატერიალური ბაზა, დღის რეჟიმი, იძლევა საშუალებას უზრუნველვყოფილი იყოს სხვადასხვა კატეგორიისა და შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან სწავლებისა და განვითარების თანაბარი პირობები. სასკოლო სასწავლო გეგმა არეგულირებს ინკლუზიური განათლების საკითხებს, განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მიმართულებას. ინკლუზიური განათლების ხარისხის გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აღნიშნულ პროცესში ჩართული სპეციალისტები - სპეციალური მასწავლებლები, სკოლის ფსიქოლოგი, ასისტენტი, მეტყველების თერაპევტი, ლოგოპედი და სხვა. სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური სწავლების ცენტრი.

სკოლა აღნიშნული პროცესების მართვის დროს, თვალისწინებს, იმ გარემოებას რომ მოსწავლეები, სწავლის პროცესში, შესაძლოა მრავალი სხვადასხვა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ, იქნება ეს ქცევითი სირთულეები, სწავლაში გამოვლენილი სიძნელეები თუ ორივე ერთად. სკოლის მიერ დანერგილი სასწავლო პრაქტიკა ხელს უწყობს სწავლის ხელისშემშლელი ფაქტორების ადრეული იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც იგეგმება და ხორციელდება შესაბამისი ინტერვენციები. ერთ-ერთი გავრცელებული კონცეპტუალური ჩარჩო, რომელსაც სკოლა იყენებს ზემოთაღნიშნულ საკითხებზე საპასუხოდ, არის მხარდაჭერის მრავალდონიანი სისტემა, რაც ეხმარება სკოლას, რაც შეიძლება ადრე მოახერხოს იმ მოსწავლეთა იდენტიფიცირება, რომლებსაც აქვთ ან შეიძლება ჰქონდეთ სწავლაში სირთულეები და სწრაფად გაუწიოს შესაბამისი მხარდაჭერა. მხარდამჭერი მრავალდონიანი სისტემა მასწავლებლებს სთავაზობს აკადემიური უნარებისა და

ქცევის გაუმჯობესების მრავალფეროვან, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტრატეგიებს სხვადასხვა საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის. სისტემა მოიცავს ორ ინტერვენციულ ჩარჩოს: ინტერვენციაზე რეაგირება და პოზიტიური ქცევის ინტერვენცია და მხარდაჭერა. მოსწავლეთა მრავალდონიანი მხარდაჭერის სისტემის კომპონენტები მოიცავს:

• დაწყებითი კლასის მოსწავლეების უნივერსალურ სკრინინგს;
• სხვადასხვა დონის ინტერვენციებს, რომელიც გამოიყენება გამოვლენილ საჭიროებებზე საპასუხოდ;
• მონაცემების უწყვეტად შეგროვებასა და მიმდინარე შეფასებას;
• მოლოდინებისა და მხარდაჭერის სასკოლო დონეზე არსებულ მიდგომას;
• მშობელთა ჩართულობას.

მოსწავლეთა მიღწევების, ქცევის, პროგრესის მუდმივი შეფასება მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას გამოავლინოს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამის დონესთან დაკავშირებული ინტერვენციები გამოიყენოს.

• ისგ გეგმას, მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებიდან გამომდინარე, ადგენს როგორც სპეციალური მასწავლებელი, ასევე ყოველი საგნის მასწავლებელი, რომელსაც ჰყავს სსსმ მოსწავლე.

• სსსმ მოსწავლეების ტრანზიცია სკოლაში საკმაოდ სენსიტიური საკითხია. სკოლა, სპეციალური მასწავლებელი და მასწავლებლები წინასწარ ეცნობიან მოსწავლეებს, აცნობენ სასკოლო სივრცეს, რესურს ოთახს, საკლასო ოთახს, იმისათვის რომ ადაპტაციის პროცესი გამარტივდეს და მოსწავლეს სკოლაში მოსვლის მზაობა ჰქონდეს.

• როგორც განმარტეს, მოსწავლეებთან მუშაობენ ინდივიდუალურად, რესურს-ოთახში, მოსწავლის შემეცნებით უნარებზე მუშაობა საგნობრივი კავშირის გათვალისწინებით მიმდინარეობს. მუშაობის პროცესში იყენებენ მულტი მოდალურ მიდგომას, ქცევის მართვისთვის კი ABA თერაპიის ელემენტებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში. **ინდიკატორის (4.2.3.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

ქალაქ ბათუმის 26-ე საჯარო სკოლასთან, წარმატებით ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების ცენტრი. ცენტრის მთავარი მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა ინტეგრაციის, სოციალიზაციისა და დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება, ასევე მათი პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

ცენტრი მხარს უჭერს ბავშვებს, რომელთაც აქვთ ფიზიკური, ინტელექტუალური, ემოციური, სოციალური ან ენობრივი სირთულეები. გუნდი შედგება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან და მიზნად ისახავს ყოველი მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობასა და განვითარების შესაძლებლობის შექმნას.

ინკლუზიური განათლების სივრცე სრულად რეაბილიტირებულია, აღჭურვილია საჭირო ტექნიკით, რესურსებითა და სპეციალურად შერჩეული ავეჯით. შექმნილია უსაფრთხო, ადაპტირებული ფიზიკური გარემო, სადაც მოსწავლეებს ხელმისაწვდომი აქვთ როგორც დასასვენებელი, ისე საგანმანათლებლო კუთხეები.

ინკლუზიური განათლების ცენტრი სერვისებს სთავაზობს 26-ე საჯარო სკოლაში ჩარიცხულ სსსმ მოსწავლეებს. სასკოლო დღის შემდეგ, ბავშვები ჩართული არიან შემოქმედებით აქტივობებში, რაც მოიცავს არაფორმალური განათლების შემდეგ მიმართულებებს:

კერამიკა: მოსწავლეები ქმნიან თიხისგან ხელნაკეთ ნივთებს, რომლებიც სპეციალურ ღუმელში იწვება, მოსწავლეები პედაგოგებთან ერთად ქმნიან თიხის სხვადასხვა ნაწარმს, რომელსაც გამოწვის შემდგომ კიდევ ამუშავებენ (ღებავენ) პედაგოგებთან ერთად და აძლევენ მათ საბოლოო სახეს.

ქსოვილი: თექისა და სხვადასხვა ქსოვილების გამოყენებით, ბავშვები ქმნიან სხვადასხვა ქსოვილის ნაწარმს, მაგალითად: ჩანთები, აქსესუარები, პანოებსა და სხვადასხვა დეკორატიულ თუ გამოყენებით ნივთები.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: მოზარდები ეუფლებიან ფერწერის ტექნიკას, ქმნიან უნიკალურ ხელნაკეთ ნივთებს, ეცნობიან მასალებთან და ფორმებთან მუშაობის სხვადასხვა მეთოდიკას, გათვალისწინებულია თითოეული ბავშვის შესაძლებლობების სპეციფიკა და თავისებურება.

მუსიკა: მუსიკალური აქტივობების საშუალებით ბავშვებს აქვს შესაძლებლობა თვითგამოხატვის ახალი გზები იპოვონ, რაც ინკლუზიური განათლების ერთ -ერთი მთავარი ღირებულებაა.

ინკლუზიური თეატრი და საკვირაო სკოლა

ცენტრთან თანამშრომლობით წარმატებით ფუნქციონირებს ინკლუზიური თეატრალური დასი, რომელმაც არაერთი შთამბეჭდავი სპექტაკლი წარადგინა. ასევე, ცენტრში იმართება საკვირაო სკოლა უსინათლო მოსწავლეებისთვის, სადაც ისინი სპეციალური საგანმანათლებლო ტექნიკით და პედაგოგიური მიდგომებით, დამხმარე საშუალებებით ექმნიან სხვადასხვა სახის ხელოვნების ნიმუშებს. მაგალითად პეიზაჟებს, პორტრეტებსა და სხვა.

ცენტრის მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან კვებითა და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სატრანსპორტო მომსახურებით, რაც მათთვის განათლებაზე წვდომას კიდევ უფრო ხელმისაწვდომს და მოსახერხებელს ხდის.

უნდა აღინიშნოს, რომ სსსმ მოსწავლეები ცენტრში იღებენ მათ საჭიროებებზე მორგებულ როგორც აკადემიურ მხარდაჭერას (რესურსოთახის ფარგლებში), ისევე ვითარდებიან სხვადასხვა მიმართულებით - ინტეგრაცია, სოციალიზაცია და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, ასევე ივითარებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ პროფესიულ შესაძლებლობებს

მომავალში. ცენტრი რეგულარულად აწყობს მასტერკლასებს, გამოფენებსა და საზოგადოებრივი ჩართულობის ღონისძიებებს, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა თვითრეალიზაციას, თავდაჯერების ზრდასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ინდიკატორის (4.2.3.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ისგ გეგმები;
- ისგ ოქმები;
- სსსმ მონიტორინგის ჯგუფი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს ამ ეტაპზე არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის ფასიან მომსახურებას წრეების სახით. მოსწავლეთა ტრანსპორტირებას სკოლა თავად არ უზრუნველყოფს, თუმცა სკოლასთან არსებული ინკლუზიური განათლების ცენტრის მოსწავლეები სარგებლობენ სატრანსპორტო მომსახურეობით.

ინდიკატორის (4.2.4.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა მოსწავლეებს ამ ეტაპზე არ სთავაზობს დამატებითი და არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, თუმცა აქვს მზაობა და ყველა პირობა, მოსწავლისა და მისი მშობლის დაინტერესების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მომსახურებით სარგებლობის შესახებ.

ინდიკატორის (4.2.4.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლა ესგ-თი გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი მომსახურების გარდა სხვა დამატებით მომსახურებას, ამ ეტაპზე, არ სთავაზობს მოსწავლეებს. სკოლას აქვს მზაობა, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება მოთხოვნის შემთხვევაში.

ინდიკატორის (4.2.4.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწვლო გეგმა;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(დაწყებითი საფეხური)**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო საფეხური)**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სასკოლო კურიკულუმი **(საშუალო საფეხური)**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლაში მოქმედებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. იგი გაწერილი და წარმოდგენილია 2024–2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში.

დოკუმენტების შესწავლისა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მსჯელობენ და აწყობენ განხილვას კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა კათედრებთანაც. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები. კათედრის მიერ შექმნილი მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხედება, ასევე, გადაიხედება არსებული სასწავლო გეგმების მიხედვით განხორციელებელი სასწავლო აქტივობები, მოხდება მასწავლებელთა მიერ საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და შემუშავდება რეკომენდაციები მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დასახვეწად და სასწავლო პროცესში დასანერგად. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრებთან აქტიურად თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

საგნობრივ კურიკულუმებში, სამივე საფეხურზე, ჩანს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხების თემატურად დაყოფა, თემების შესწავლის დაგეგმვა მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. სკოლა, მისია-ხედვა- ღირებულებებზე და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით, ცდილობს გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და დაუკავშიროს ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმებს. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩიეს შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის გეგმავენ სახალისო,

საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. მასწავლებელი სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს.

შესაბამისია ინდიკატორთან.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მტკიცებულებებში, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ, ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია კათედრაზე ყველა მასწავლებლის ჩართულობით. მათ შეადგინეს ყველა კლასის ჩარჩო-კურიკულუმი, შეათანხმეს შემოქმედებითი ტიპის დავალებები და შემაჯამებელი სამუშაობი, შეარჩიეს შეფასების ინსტრუმენტები. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) უშუალოდ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესები, რადგან საგნის მასწავლებლის მხრიდან დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში, საგნობრივი მეთოდოლოგიასა და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია დასანერგი შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეები, სამიზნე ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას. მასწავლებლები მშობლების უკუკავშირს იღებან მშობელთა კრებებზე და ასევე, ინდივიდუალური შეხვედრებისას.

შესაბამისია ინდიკატორთან.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც აისახება მიმღებლობითი გარემო. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, სკოლის მასწავლებლები გეგმავენ მომავალი სასწავლო წლიდან უფრო გააქტიურონ მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. გეგმავენ მიზნობრივი შეხვედრები მოაწყონ მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესებში. სკოლა იყენებს საშუალებებს, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი გახადოს სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მშობელთა კრებები, ასევე პირადი შეხვედრები.

შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა;
- ვერიფიკაციის წესი;
- შემაჯამებელი წერები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სასწავლო საგნების (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია ,ქიმია, ფიზიკა) წარმოდგენილ კურიკულუმში ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, განსაზღვრულია მოქმედი ესგ - ს სტანდარტის შესაბამისად სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები შეესაბამება დასამუშავებელი თემის ფარგლებს. ყველა თემის შესწავლისას მუშავდება საგნისთვის განკუთვნილი სამიზნე ცნებები გარკვეული მოცულობით, რასაც უზრუნველყოფს შუალედური მიზნების სახით შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებების შესრულება სავალდებულო თემების შესაბამისი საკითხების დამუშავებით. იკვეთება, რომ დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე ინტერესებზე, შესაძლებლობებზე და ხელს უწყობს მრავალფუნქციური უნარების განვითარებას. სასწავლო თემების დამუშვებისთვის გათვლილია სავარაუდო საათები.

	რჩევა: სავალდებილო თემების დამუშავებისას სასურველია გამოიყენებოდეს ყველა სამიზნე ცნება იმ დატვირთვით, რაც თემის შინაარსობრივი თავისებურების შესაბამისი იქნება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებასა. ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, ექსკურსიები, მუზეუმების მონახულება. საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნების არჩევა მოსწავლეთა ინტერსების გათვალისწინებით ხდება. **რჩევა**: **დაწყებითი;** **საგან „ჩვენი საქართველოს“** მე-5 კლასის კურიკულუმში შედარებისთვის მოყვანილია გურიისა და ფშავ-ხევსურეთის მაგალითი, რომელიც მოსწავლეებს თემატურად არ გაუვლიათ, სასურველია კურიკულუმების შედგენისას მეტად იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ტრადიციების შესწავლა. **საგან „ჩვენი საქართველოს“ მე-5** კლასის კურიკულუმში სასურველია შეტანილი იყოს ყველა შესასწავლი თემა: მათ შორის პირველ ნაწილში- „ქართლი“ და „იმერეთი“ **საბაზო:** **საგან ისტორიაში (VII, VIII, IX, Xკლასები**) სასურველია კათედრამ შეუმუშავოს კურიკულუმის ერთი საერთო ფორმა, ეს ხელს შეუწყობს მათ შორის ეფექტურ კომუნიკაციას. **საშუალო:** სასურველია **მე-12 კლასში ისტორიაში და საქართველოს ისტორიაში** წარმოდგენილი იყოს კურიკულუმები, თუმცა ამ ეტაპზე სახელმძრვანელო შემუშავებული არ არის და მასწავლბელმა ძველ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით სასწავლო გეგმაში ჩამოწერა შესასწავლი საკითხები თანმხლები რესურსებით.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას (თემები, შუალედური მიზნები, აქტივობები) და მათ განვითარებას (შემოქმედებითი პროდუქტი, შეფასება). კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ასაკობრივი თავისებურებები და ინტერესი.

	რჩევა: სასურველია, ორივე უცხოურ ენაში შემუშავებული კურიკულუმები ერთი ფორმატით იყოს წამოდგენილი
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული პრინციპების შესაბამისად. სასწავლო თემები და საკითხები შერჩეულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული კონტექსტის გათვალისწინებით. თითოეული თემის მიზნები მჭიდრო კავშირშია შემოქმედებით დავალებებთან; კონტექსტ-მაგალითები მიზეზშედეგობრივ კავშირშია როგორც სასწავლო მიზნებთან, ასევე დავალებებთან. ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აძლიერებს შემოქმედებითი დავალებების შესრულების თანმიმდევრულობას და ეფექტურობას. კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს — სამიზნე ცნებები ლოგიკურადაა გადანაწილებული თემების მიხედვით და ფარავს სასწავლო წლისა და საფეხურის სრულ მოცულობას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს ჩანს კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც საფეხურზე შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმების ჩარჩოში შევსებულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხთა კლასტერი, შესაბამისი რესურსებით; ასევე არის ასახული კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან გასაუბრებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ პედაგოგებს აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის მზაობა.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში

	შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე არამედ საჭირო უნარების გამომუშავებასა და ცოდნის ტრანსფერზე. გათვალისწინებულია ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების (მათემატიკა, სახელმწიფო ენა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში (I – IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები... კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების (სამიცნე ცნებები) გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის. აქვე აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესში მიმდინარეობს პროექტებით სწავლება. ხორციელდება სხვადასხვა სირთულის კვლევითი სამუშაოების შესრულება. მოსწავლეები კვლევით სამუშაოებს ასრულებენ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში და გარდა სასკოლო სივრცისა კვლევით სმუშაოებს ასრულებენ შინ–სახლის პირობებში, ყოველგვარი უსაფრთხოების წესების დაცვით, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალით. მოსწავლეებისთვის არის გარემო სასწავლო პროცესის

	სახით, რომ მათ განივითარონ შემოქმედებითი, კვლევითი, კომუნიკაციის, სოციალური და სხვა უნარები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. **რჩევა:** **საბაზო: გეოგრაფია** სასურველია მე-7 კლასის კურიკულუმში (საკითხი: „ანტარქტიდა“ და „აფრიკა“) მკაფიოდ იყოს გამოხატული შუალედური მიზანი, რათა გამოიკვეთოს თუ რა კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტს ქმნის მოსწავლე.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება ეროვნულ და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, კერძოდ, მოსწავლემ/მოსწავლეებმა შეძლონ წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია უცხოურ ენაზე/ენებზე. მიქცეულია ყურადღება შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარებაზე.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმი მთლიანად ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. სამიზნე ცნებები გადანაწილებულია სასწავლო თემების მიხედვით და დავალების მიხედვით ლოგიკურად და ისე, რომ დაიფაროს მთელი სასწავლო წელი, და საფეხური. შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებები ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს. სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კონტექსტური მაგალითები და სასწავლო რესურსები შინაარსობრივად და ქრონოლოგიურად შეესაბამება მიზნებს, რაც მიანიშნებს მიზანმიმართულ დაგეგმვას და პროცესის სტრუქტურულ განხორციელებას.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. შემოქმედებითი და შემაჯამაბელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული

	აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას. სახელმწიფო ენის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას.
მათემატიკა	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში იკვეთება კორელაცია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებთან და სამიზნე ცნებებთან. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალების შინაარსი, მიზნობრივი აქტივობებისა და რესურსის შეთავაზება, კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები იძლევა მოსწავლის დაფიქრებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. მე-6 კლასის და მე-10 კლასის კურიკულუმებში გრაფაში შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალების იდეა/პირობა მითითებულია დამოუკიდებელი და პრაქტიკული სამუშაო, მაგ, წრეწირების ურთიერთმდებარეობაზე. ევკლიდეს ალგორითმით უსგ-ს პოვნაზე ბლოკსქემის შედგენა. მიეცათ **რჩევა,** მე-6 და მე-10 კლასის კურიკულუმებში სასურველია, შუალედური შედეგის შესამოწმებელი კომპლექსური ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები გაიწეროს კონკრეტულად
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმში და კომპლექსურ დავალებებში, ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება იმ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა. მოსწავლეებს ეძლევათ ისეთი ტიპის დავალება სადაც პროდუქტია შესაქმენლი, ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება და აძლევს საშუალებას იაზროვნონ თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში სკოლის არჩევით წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო რესურსები გრიფირებული სასკოლო სახელმძრვანელოების სახით, ასევე საგნის სპეციალისტების მიერ შერჩეული დამატებითი სასწავლო რესურსები სხვადასხვა ფორმატით: ვიდეო რესურსი, სამეცნიერო ლიტერატურა, ცენტრის მიერ ლიცენზირებული საგნობრივი შინაარსის სახელმძრვანელოები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განკუთვნილი რესურსები: სქემები, პლაკატები, მოდელები, მუდმივი პრეპარატები, სხვადასხვა თვალსაჩინოებები, ქიმიური რეაქტივები, გამადიდებელი ხელსაწყო – მიკროსკოპები, ექსპერიმენტისთვის/ცდებისთვის ჩასატარებელი საჭირო ხელსაწყოები/ინვენტარი. წარმოდგენილი სასწავლო და მატერიალური რესურსები მეტწილად უზრუნველყოფს ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის საგნების სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელებას და კვლევითი/ ექსპერიმენტული დავალებების შესრულებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, სამეცნიერო ვიდე-ფილმები, ფოტო მასალა, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **რჩევა:** **საშუალო საფეხური;** **სამოქალაქო განათლება**

	სასურველია მე-11 და მე-12 კლასებში წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროექტებში გამოკვეთილი იყოს მათი განხორციელების ღონისძიებები (ვადები, რესურსები, აქტივობები) საშუალო საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო რესურსებში, საგან **სამოქალაქო განათლებაში, მე-12 კლასში** სასურველია მიუთითოთ დამხმარე სასწავლო რესურსის დასახელება და შესაბამისი ელექტრონული ბმული.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედური მიზნების ძირითადი სასწავლო რესურსები და ინგლისური ენაში დამატებული დამხმარე რესურსები მიზნობრივია. **რჩევა:** სასურველია მეორე უცხოურ ენაში-რუსული, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მოხდეს დამატებითი დამხმარე რესურსების აქტიურად გამოყენებაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და გამტკიცებას.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები, თუმცა მათ გარდა გამოიყენება მრავალი დამატებითი რესურსი, რაც საგანს მრავალფეროვანს და მოსწავლისთვის ხელმისაწვდომს ხდის. სკოლა ამოწმებს და ადასტურებს, რომ დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს, სტანდარტებსა და პროგრამას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. სახელმძღვანელოს ტექსტების პარალელურად დამატებით ტექსტებთან ერთად მოცემულია ელექტრონული ბმულებიც. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინტერაქციული რესურსები: სიტყვების ყუთი, დასურათებული ბარათები, სიტყვების გამომძიებელი, გრაფიკული მაორგანიზებლები, სიტყვის სკივრი, პერსონაჟისა და ამბის რუკა. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში რესურსებსა და კონტექსტმაგალითებში ასახულია პარალელური ტექსტები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები მწერლებისა და პოეტების შესახებ, ტელესკოლის გაკვეთილები. ასევე, სხვადასხვა სახის გრაფიკული მაორგანიზებლები და სქემები. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მართლაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მათემატიკა	თითქმის ყველა კლასის საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, ტელესკოლის გაკვეთილები, pet სიმულაციები, ხან აკადემიის რესურსები და math.ge ზე განთავსებული რესურსები.
სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებას, შერჩეულია შედეგების მიღწევისათვის საჭირო შესაფერისი ინსტრუმენტები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ინკლუზიური განათლების კუთხით სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებისთვვის ისგ და აქვთ ყოველგვარი რესურსი წარმატებით განახორციელონ სასწავლო პროცესი ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით. დიფერენცირებული სწავლება საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებისთვის განვითარების პროცესშია და იკვეთება რომ გააუმჯობესებენ მომავალში. საგანებსი წარმოდგენილია დიფერენცირებული სწავლებისთვის შექმნილი დავალება და მტკიცებით ფორმაში აღნიშნავს მასწავლებელი, რომ გარდა წარმოდგენილი დოკუმენტისა სხვა ტიპის დიფერენცირებული მიდგომის დავალებებს შეიმუშავებს და გამოიყენებს მოსწავლეთა მზაობის და საჭიროების შესაბამისად. ასევე იკვეთება რომ მოსწავლეთა ინტერესისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით ჩატარებული აქვთ სხვადასხვა ექსპერიმენტული და

	პრაქტიკული სამუშაოები, შექმნილია შემოქმედებითი პროდუქტები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და შესაძლებლობის შესაბამისად მიიღონ განათლება საბუნებისმეტყველო საგნებში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური, საზოგადოებრივი მეცნიერების საგნებში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმი ასევე იძლევა მოდიფიცირების საშუალებას მასში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღწერილი მრავალფეროვანი აქტივობები ასევე იძლევა დიფერენცირების საშუალებას.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს მოსწავლეებთან დიფერენცირებულ მიდგომებს. ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერას რაც ასახულია წარმოდგენილა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალურ გეგმებსა და თამატურად შეთავაზებულ აქტივობებში. **რჩევა:** სასურველია, რომ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმონ უფრო მეტად მრავაფეროვანი დიფერენცირებული აქტივობების გამოყენება. მაგ., აირჩიე პროექტი, სასწავლო მენიუ და ა.შ. რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. დიფერენცირებული მიდგომის დროს სასურველია, კონკრეტული აქტივობების დავალებებში, გავითვალისწინოთ ყველა ტიპის მსწავლელისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ინტერესები.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, კურიკულუმებში სრულად გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები. ორივე საგანში წარმოდგენილია მრავალფეროვანი აქტივობები და დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის მოსწავლის თანაბარ ჩართულობასა და განვითარებას, ამარტივებს სწავლის პროცესს და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში. გარდა ამისა, ესთეტიკის კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები კონკრეტული

	მოსწავლეებისთვის, რომლებიც დამუშავებულია დიაგნოზის საფუძველზე მრავალი სუბიექტის (მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი და სხვა) ჩართულობით და მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ განვითარებას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში- შემოქმედებითი ტიპის დავალებებში- წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობასა და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას: დანერგილია დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, გამოყენებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული დავალებები. სახელმწიფო ენის სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დიფერენცირებული დავალებები იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.
მათემატიკა	მათემატიკის კათედრას გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრინციპები. მასწავლებლებთან გასაუბრებიას გამოიკვეთა, რომ სასწავლო თემების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები; სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; ამის თვალსაჩინოდ ჯერ ისაუბრეს და შემდეგ წარმოადგინეს უკვე შესრულებული კომპლექსური ტიპის დავალების ფოტოსურათები და რესურსები. კათედრას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული დავალების ნიმუში, რის საფუძველზეც ვასკვნით, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში იკვეთება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ცდილობს გამოიყენოს დიფერენცირებული სწავლების ელემენტები. მოსწავლეებს სთავაზობს მის საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებს, ყოველთვის ახდენს

	დავალების მოდიფიცირებას და ადაპტირებას საჭიროებიდან გამომდინარე და მათ შესასრულებლად აძლევს შესაბამისის დროს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების სამ კომპონენტიანი (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და განმავითარებელი შეფასების სისტემები. თითოეული ტიპის შეფასება ხდება წინასწარ ფორმულირებული, სტანდარტის შედეგებზე/სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული და შესასწავლი თემის, საკითხის შინაარსობივ კონკრეტიკაზე დაყრდნობით, შეფასების კრიტერიუმებით. ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რომ განმსაზღვრელი შეფასებისას კრიტერიუმების ფორმულირებისას გამოყენებულია სტანდარტის შედეგები, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების ფორმულირებისას სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგნები. შეფასება ხდება ესგ–ის პრონციპების შესაბამისად, დაწყებითში განმავითარებელი შეფასება მე–5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით, ხოლო მე–5 კლასის მეორე სემესტრიდან ყველა კლასში მოსწავლეები ფასდება, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. საგნების მიხედვით შექმნილი აქვთ და წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც არის როგორც კონკრეტული (საგნობრივი) ასევე ზოგადი (ყველა საგანში გამოსაყენებელი). თითოეული ტიპის შეფასებისას მასწავლებლები აქტიურად იყენებენ რემედიაციას, რომლის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა საგნობრივი ცოდნის შეძენა და საჭირო უნარების გაუმჯობესება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარების განვითარებაზე, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. **რჩევა:**

	საბაზო: **გეოგრაფია:** შეფასების დოკუმენტი წარმოადგენს სამოქმედო დოკუმენტს, რომელიც გაწერილია სტანდარტულად 6 ქულაზე, სასურველია მასწავლებელმა შეიმუშაოს ინდივიდუალურად თავის მოსწავლეებზე და საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, უცხოური ენების კათედრას შემუშავებული ააქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების ფორმები, ასევე, სამივე საფეხურზე ინგლისურ ენაში იყენებს დიაგნოსტიკურ წერას, რომლის მიზანია: ცოდნის დონის დიაგნოსტირება, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება. **რჩევა:** განმსაზღვრელი შეფასებისთვის, სასურველია შეიქმნას თემის ფარგლებში გასავლელი დავალებების, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და ინდიკატორებზე ორიენრირებული კონკრეტული კრიტერიუმები.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, კურიკულუმებში გამოყენებულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებულია სამიზნე ცნებებზე და მორგებულია კონკრეტული სასწავლო მიზნების შესრულებაზე. შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც დავალების სწორად გაგებას, ისე ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. შემოქმედებითი დავალებების ანალიზის გზით მარტივად მოწმდება, თუ რომელ კრიტერიუმს რომელ მიზანთან აქვს შესაბამისობა.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი, განმავითარებელი და შემაჯამებებლი დავალების შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია ესგ-თი განსაზღვრული სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.
მათემატიკა	კათედრამ წარმოადგინა პროექტის შეფასების, პრეზენტაციის, საშინაო დავალების, საკლასო მუშაობის შეფასების ზოგადი სქემები. ასევე წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

	ასევე წარმოადგინა საფეხურების მიხედვით თითო თემისთვის შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. მათ შორის, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, დაკვირვების ცხრილს. შეფასების ყველა დოკუმენტის საფუძველზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მასწავლებლები აქცენტს აკეთებენ არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში.
სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან.
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებზე. შესაბამისად, სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები;

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- სასწავლო პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა;
- ვერიფიკაციის წესი;
- შემაჯამებელი წერები;
- მოდიფიცირებული დავალებები.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო საგნებში (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) საგნობრივი კურიკულუმები შექმნილია კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით და წარმოადგენს სასკოლო კურიკულუმის ნაწილს. რაც ეფუძნება ესგ–ის მოთხოვნებს და საგნობრივ სტანდარტებს. პრიორიტეტულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნების მიღწევა. სასწავლო პროცესი მასწავლებლებს მიჰყავთ არსებული კურიკულუმების მიხედვით და რიგ შემთხვევებში მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით და მათი მოთხოვნების შესაბამისად უმატებენ აქტივობებს, სასწავლო რესურსებს, რაც თვალნათლივ მოწმობს, რომ მასწავლებლები ეწევიან კურიკულუმის განვითარებას და მოსწავლეთა საჭიროებებისა და ესაძლებლობების შესაბამისად მიჰყავთ სასწავლო პროცესი. სასკოლო კურიკულუმის თანხვედრილად მიმდინარეობს შეფასება, სასწავლო პროექტების/არაფორმალური განათლების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2024-2025 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწალო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. კათედრა გეგმავს: კათედრაზე გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს **(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმი)** **გეოგრაფიაში საბაზო (მე-9 კლასი) და საშუალო** საფეხურის კურიკულუმებში სასურველია ზოგიერთი შუალედური მიზნის მოდიფიცირება და დაკონკრეტება თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, სასწავლო პროცესი დაგეგმილია კათედრის მიერ შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის მიხედვით, რომელშიც ჩაშლილია თემატური ერთეულები, შუალედური მიზნები, რესურსები, აქტივობები და შედეგები

	რჩევა: დაგეგმის პროცესში სასურველია, ბარათების შემუშავება, სადაც ჩაშლილია: თემა, სამიზნე ცნება/ცნებები, ინდიკატორებეი, შეფასება და მიზანი.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. მოწოდებული მასალების მიხედვით, სხვადასხვა მსხვილი სასწავლო თემის აქტივობები დაგეგმილია როგორც შინაარსობრივი, ასევე ქრონოლოგიური თვალსაზრისით და სრულად არის ორიენტირებული სასწავლო მიზნებზე. კონტექსტუალური მაგალითები და სასწავლო რესურსები შინაარსობრივად შეესაბამება ერთმანეთს, რაც ცხადყოფს მიზანმიმართულ დაგეგმვას და კურიკულუმის სისტემურ განხორციელებას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. კურიკულუმში ჩაშენებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. საკითხთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები განვრცობილია კომპლექსური დავალების თავებში. მასწავლებლებს აქვთ უნარი, იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად: მზის ენერგია, ლიფტის მოდელის დამზადება, სიბრტყის მოზაიკა, გეომეტრია არქიტექტურაში, პროცენტები ჩვენს ცხოვრებაში, ეშმაკის ბორბლის მოძრაობის აღმწერი

	ფუნქციის კვლევა) კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო საკითხები და კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მათ შესაძლებლობა მიეცემათ, სხვადასხვა დავალების შესრულების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე.
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, სადაც ყველა აქტივობა, გაკვეთილი და შეფასება დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის მოთხოვნების შესრულება და მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლას აქვს მექანიზმები და მიდგომები, მოერგოს ცვალებად გარემოსა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, კათედრას აქვს შესაძლებლობა და მატერიალური თუ ადამიანური რესურსი, რათა მოახდინოს ადაპტაცია და შეიტანოს ცვლილებები. კათედრებზე შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მორგებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე. სასწავლო აქტივობები და მასალა იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებს ქონდეთ არჩევანი და შესაძლებლობა გაუმჯობესონ საკუთარი უნარ-ჩვევები. სკოლა დროულად ახდენს ცვლილებების შესახებ მშობლების და საზოგადოების ინფორმირებულობას.

შესაბამისია ინდიკატორთან.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან–განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი, ზეპირი კომენტარი, რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან და თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. ასევე ჩანს, რომ შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები მიემართება საგნობრივი სტანდარტის შედეგებისა და გრძელვადიანი მიზნებისკენ . გაწერილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმის აღწერილობა, რაც შეფასებას ხდის ვალიდურს, სამართლიანს და ობიექტურს. იკვეთება, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა, შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები სხვადასხვა თემების შესაბამისად. პროცესში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. შეფასების რუბრიკები გაზიარებული აქვთ სასკოლო საზოგადოებასთან და მშობლებთან, რაც კიდევ უფრო ზრდის შეფასების გამჭვირვალობას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა.
უცხოური ენები	სკოლაში არსებული ვერიფიკაციის ფორმის მიზანია დაადასტუროს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა, მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს აფასებს ათქულიანი სისტემით ოთხი დონის მიხედვით:(მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო და დაბალი) . ასევე, უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების

	ფორმები ორივე უცხოური ენისთვის, რომელშიც გამოკვეთილია სამიზნე ცნებები საფეხურის მიხედვით შესაბამისი ინდიკატორებით.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში გამოყენებული შეფასების რუბრიკები მიმართულია კონკრეტულ დავალებებსა და იმ მოლოდინებზე, რომლებიც განსაზღვრულია დავალების პირობასა და ინსტრუქციაში. რუბრიკები სტრუქტურირებულია სასწავლო მიზნების შესაბამისად და ეფუძნება სამიზნე ცნებებს, რაც შეფასების პროცესს სრულად გამჭვირვალეს, სამართლიანსა და მოსწავლისთვის გასაგებს ხდის.
სახელმწიფო ენა	სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სახელმწიფო ენის კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს, რომლებიც შექმნილია კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, ამას მოწმობს წარმოდგენილი განსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურების მიხედვით, კონკრეტულ თემებზე გაწერილი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, რომელიც წინასწარაა შემუშავებული, სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი.
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით.

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი რუბრიკები. წარმოდგენილი შეფასების ფორმები უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ შესაძლებლობებს და ასახავს მათ მიღწევებსა და პროგრესს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

შეფასების სისტემის მექანიზმების შემუშავებისას, სკოლა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რაც გაკვეთილზე დასწრებით, მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრებით განისაზღვრება. იგი ეფუძნება, სანდოობის, სამართლიანობის, ობიექტურობის პრინციპებს.

„შეფასების ვერიფიკიაციის მექანიზმი“, რაც სკოლის მიერ არის წარმოდენილი, ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე მოსწავლის მიღწევების შეფასების წესს და მექანიზმს. ამ პროცესში მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლეებთან. შედეგად ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე ხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში.

შესაბამისია ინდიკატორთან.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში კათედრის პორტფოლიოებში ინახება მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებები. კლასისა თუ საფეხურის დაძლევა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რომელიც საქმისწარმოების წესის შესაბამისად ატვირთულია Eflow სისტემაში. ამასთანავე, სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების შენახვა, კერძოდ: კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები ანალიზებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, შეფასების მასალები - მოცემული მატერიალური სახის დოკუმენტაცია სკოლაში ინახება ერთი წლის ვადით, ხოლო ელექტრონული სახის- სამი წლის ვადით.
შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები;
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ისგ;
- მოდიფიცირებული დავალებები;
- სასწავლო პროექტები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი სასწავლო რესურსი: სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული მოსწავლის სახელმძღვანელო. ასევე დამატებითი სასწავლო რესურსები: ვიდეო

	მასალა, სამეცნიერო ლიტერატურის ამონარიდები, ცენტრის მიერ ლიცენზირებული საგნობრივი შინაარსის ლიტერატურა, ინტერნეტ სტატიები და სხვა სასწავლო პროცესსი გამოსაყენებელი მასალები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას გამოიყენება სწორედ ის სასწავლო რესურსები რაც კურიკულუმშია მითითებული. **რჩევა**: სასურველია მეტი დამატებითი რესურსები იქნას შერჩეული ამა თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობებისთვის, რაც გაზრდის მოსწავლეთა ცნობიერების სფეროს და გაზრდის ასევე მათ მოტივაციას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: რუკები, ცხრილები და სხვა. რესურსებად გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრები. სარგებლობენ სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში,კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსები / გრიფირებული სახელმძღვანელოები გამოიყენება. ასევე, სამივე საფეხურზე, ინგლისურ ენაში გამოყენებულია დამხმარე სასწავლო რესურსებიც. **რჩევა:** სასურველია მეორე უცხოურ ენა რუსულშიც აქტიურად იყოს გამოყენებული მეტი დამხმარე სასწავლო რესურსები, წიგნების ან ელექტრო ვესიების სახით.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, კურიკულუმში ძირითად სასწავლო რესურსს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ამასთან ერთად, გამოიყენება მრავალი დამატებითი რესურსი, რაც საგანს მრავალფეროვანსა და მოსწავლეზე მეტად მორგებულს ხდის. ეს კომბინაცია ამდიდრებს სასწავლო პროცესს და ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. შემოქმედებითი დავალების პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია დამატებითი ტექსტები, ვიდეომასალა, პლაკატები, სქემები, ვიზუალური მასალა. დაწყებით

	საფეხურზე რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინტერაქციული რესურსები: სიტყვების ყუთი, დასურათებული ბარათები, სიტყვების გამომძიებელი, სიტყვის სკივრი, პერსონაჟისა და ამბის რუკა. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კი დამხმარე რესურსებად მოცემულია მხატვრული ტექსტები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები მწერლებისა და პოეტების შესახებ, ტელესკოლის გაკვეთილები. ასევე, სხვადასხვა სახის გრაფიკული მაორგანიზებლები. ასე რომ, სახელმწიფი ენის კურიკულუმებში ძირითად ტექსტებთან ერთად სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები.
მათემატიკა	ზოგიერთი კლასის საგნობრივი კურიკულუმებში მხოლოდ კომპლექსური დავალების გასწვრივ არის მითითებული ის ძირითადი და დამხმარე რესურსი, რომლიც გამოყენებასაც გეგმავს მასწავლებელი. მე-6 კლასის საგნობრივ კურიკულუმში არ არის ასახული დამხმარე რესურსი. თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან როგორც მატერიალურ ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მასწავლებლებს მიეცათ **რჩევა,** რომ სასურველია დამხმარე რესურსები ასახონ მე-6 კლასის საგნობრივ კურიკულუმში
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ცდილობს გამოიყენოს სახვადასხვა სასწვლო და დამხმარე რესურსები, როგორც ონლაინ ისევე ოფლაინ. ქმნის საინტერსეო გარემოს სწავლის პროცესში და მოსწავლეებს სთავაზობს უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებს, რათა საგაკვეთილო პროცესი იყოს ხალისიანი, სადაც მოსწავლეები მაქსიმალურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული

	სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობების განხორციელება ეთანადებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს, რის მტკიცებულებასაც წარმოადგენს მათ მიერ შექმნილ კურიკულუმებში თემის შესაასწავლად დაფიქსირებული დამატებითი სასწავლო რესურსები, რომლებიც პასუხობს იმ მოთხოვნებს რასაც სტანდარტი ითხოვს მოსწავლეთა სწავლებისა და მათი განვითარებისთვის. წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსები აშკარაა აკმაყოფილებს იმას, რომ შეიქმნას სწორი პროდუქტი. მასწავლებლები ადასტურებენ, რომ საგნობრივი თემატიკის სწავლებისა და სტანდარტის შედეგის მისაღწევად თავად არჩევენ დამხმარე სასწავლო რესურსებს და უსადაგებენ განსახოციელებელ აქტივობებს, რომ მოსწავლემ მარტივად შეძლოს დავალების შესრულება და საჭირო დასკვნები გააკეთოს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. რაც დასტურდება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის N1 ოქმითა და 2024-2025 სემესტრული ანგარიშით. **რჩევა:** **(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)** საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში წერია: (ციტირებ)- „აქ უნდა დაემატოს ინტერნეტ რესურსები“, შესამამისად, სასურველია მასწავლებლებმა დროულად უნდა შეავსონ ეს ველი, მისი მოდიფიცირება სასწავლო წლის განმავლობაში არის შესაძლებელი. ასევე, სამივე საფეხურზე, სასურველია, კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები წინასწარ შემოწმდეს თუ რამდენად არის ხელმისაწვდომი, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის შესაბამისი.

უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, სკოლის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, კურიკულუმის შემუშავების ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე, სადაც მიმდინარეობს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების დაგეგმვა, გადახედვა და გაზიარება.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სკოლა ამოწმებს და ადასტურებს, რამდენად შეესაბამება დამატებითი (დამხმარე) სასწავლო რესურსი სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებსა და პროგრამას. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებასა და გამოყენებაზე (მაგალითად: სამუშაო ფურცლები, პრეზენტაციები, ვიდეოები და სხვა), რაც მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნებს და გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს.
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციისათვის სახელმწიფო ენის კათედრა იყენებს ზეპირ შეთანხმებას კათედრის წევრებს შორის. **რჩევა:** სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრამ შეიმუშაოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსის საგნობრივ და ეთიკურ მიზანშეწონილობასა და ასაკისათვის შესაბამისობას.
მათემატიკა	კათედრის მიერ შემოთავაზებული დამხმარე რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს და დასამუშავებელ თემებს
სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას
ტექნოლოგიები	გამოყენებული რესურსები, როგორიცაა ონლაინ საიტები, საგანმანათლებლო პორტალი, ციფრული თუ დამატებითი სასწავლო რესურსები, შესაბამისია განათლების სტანდარტებთან, ვალიდურია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებაზე, რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ამ ეტაპზე სკოლის ბაზაზე არსებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების სწავლებისთვის არსებული მატერიალური რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. ისინი ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით და ახორციელებს სასწავლო პროცესისთვის საჭირო მარტივ, უსაფრთხო ექსპერიმენტულ და კვლევით სამუშაოებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მატერიალური რესურსის სახით კი რუკებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, მოსწავლეებთან სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სკოლა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყოს შესაბამისი მატერიალური რესურსების მეშვეობით. არსებული რესურსები ადეკვატურად ერგება მოსწავლეთა მაქსიმალურად დასაშვებ რაოდენობას, რათა სასწავლო პროცესის ხარისხი არ დაზარალდეს.

სახელმწიფო ენა	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და აღჭურვილ საკლასო ოთახებს, დიფერენცირებულ საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილ საკლასო ოთახებს, ძირითად და დამხმარე რესურსს. სახელმწიფო ენის კურიკულუმით გათვალისწინებულ აქტივობებში თითქმის ყველა თემაში გვხვდება ვიდეორგოლის, ანიმაციის ან მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნახვა განსახილველად. შესაბამისად, სკოლა კომპიუტერითა და პროექტორით უზრუნველყოფს კურიკულუმით მისაღწევი შედეგების მატერიალურ უზრუნველყოფას.
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას. მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გათვალისიწინებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ყველა კომპონენტი, როგორც მატერიალური რესურსი ისე დამხმარე მასალა. სასწავლო პროცესისი სრულფასოვან წარმართვას ხელს უწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

ყველა საგნობრივ კათდრას სამივე საფეხურზე ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი. სპეციალური მასწავლებლები და ინდივიდუალური ასისტენტები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- სასწავლო პროექტები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების დოკუმენტები.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრებთან თანამშრომლობით ახორციელებს მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების პროცესების ანალიზებს. შეჯერებისა და გაანალიზების შემდეგ, მასწავლებელთა და დირექტორის მოადგილის მიერ წარმოებული შუალედური მონიტორინგის შედეგებით, ადგენენ ემთხვევა თუ არა მათ მიერ წარმოდგენილი შეფასებები მეთოდოლოგიაში გაწერილ შედეგებს. თუ არ დაემთხვევა, ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირებას. შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი. მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ასევე, კათედრებზე ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზების განხილვა. ხდება მოსწავლეების სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა, რასაც გაითვალისწინებენ შემდგომი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.
შესაბამისია ინდიკატორთან.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას აკვირდებიან კურიკულუმის განვითარებას. მთელი წლის განმავლობაში მასწავლებლები სწავლობენ დანერგვის პროცესს.მონაცემების გაანალიზებისას პასუხობენ შეკითხვებს - მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად, რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. მონაცემთა ანალიზი იძლევა პრობლემის გადაჭრის გზასა და საშუალებას. მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის პროცესში იკვლევენ, თუ რა იყო ძლიერი და სუსტი მხარე, რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორები და შესაძლებლობები არსებობს კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის.
შესაბამისია ინდიკატორთან.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ანგარიშვალდებულნი არიან კათედრის ტავმჯდომარის წინაშე, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან და აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა. რაც გამოკვეთს, მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე.
შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ხორციელდება ურთიერთდასწრება. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ მონიტორინგი და შეფასება მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავს და ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.
შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- სასწავლო პროექტები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების დოკუმენტები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა მასწავლებელთა ურთიერთდასწრებები, ანალიზის ფორმები, მოსწავლეების მიღწევები, მშობლების, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირები, შემაჯამებელი დავალებები, რამდენად იყო შესაძლებელი აღნიშნული დავალებით მასწავლებელი გასულიყო გრძელვადიან მიზანზე. ურთიერთდასწრებები მთლიანად დაფუძნებულია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებაზე. კათედრის წევრი მასწავლებლები სამუშაო შეხვედრებზე ერთად გეგმავენ წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზებს. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. შეფასებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლას აქვს მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გამოცდილება. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის კათედრა თვლის, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის, რაც გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს.

შესაბამისია ინდიკატორთან.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის ნაწილში გაწერილია, თუ როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; რა წყაროებით ხდება დანერგვის შესახებ, პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი შეფასებას კონკრეტული მიზნით შედეგების დიაგოსტირებას, შედეგების გაუმჯობესებას გამოიყენებენ და შეფასების დაგეგმვისას ხელმძღვანელებენ სასწავლო სასკოლო გეგმის მიხედვით. შეფასების ვალიდურობისა და გამჭირვალობის მისაღებად ისინი ყველაზე ხშირად იყენებენ პირდაპირ შეხვედრებს, უკუკავშირს და ა.შ.
შესაბამისია ინდიკატორთან.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, ის გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა-განხორციელებას. მასწავლებლები როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს. ყურადღებას აქცევენ ოჯახურ მდგომარეობას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, სოციუმს, კანონთან შემხებლობას, ღირებულებებს, მოსწავლის პიროვნული უნარებსა და შესაძლებლობებს. მით უფრო რომ სკოლას აქვს გამცდილება როგორც ტიპური განვითარების, ასევე სსსმ მოსწავლეებთან. აჭარის განათლების სამინისტროს დაფინანსებით, სკოლაში გახსნილია სკოლასთან არსებული ინკლუზიური განვითარების ცენტრი. საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებელებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე.
შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;

- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- სასწავლო პროექტები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების დოკუმენტები.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, მოცემულ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. თუმცა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილი აქვს საჭიროებების შეფასება მონაცემების შეგროვებისა და სისტემური ანალიზის გზით.

შესაბამისია ინდიკატორთან.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის: კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინა ვერსიის დანერგვისა და გამოყენების პროცესში დაგროვილ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც დაეყრდნობა როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთა რეალურ უკუკავშირს. მისი განვითარება დაეფუძნება სკოლებში კურიკულუმის პრაქტიკული განხორციელების დროს გამოვლენილ გამოწვევებს, წარმატებებსა და საჭიროებებს. მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზი არის გადამუშავების პროცესის თანმდევი, რაც კონკრეტული მიმართულებებში საჭიროებების გამოვლენის საშუალებას იძლევა.
შესაბამისია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- სასწავლო პროექტები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების დოკუმენტები.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა;
- ვერიფიკაციის წესი;

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 18.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ქეთევან ბოტკოველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კახაბერ ფარცვანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. მაია ფხაკაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

4. მაია აბდელანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

5. ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

6. მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

7. ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

8. ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

9. გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

10 ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)